წელიწადი პირველი ფასი 7 კაპ. კვირა, 15 გიორგობისთვე 1915 წ. № 144

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი.

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ელირება 4 მანეთი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

საქართველოს კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ნოემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 1 მან.—60 კაპ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“ Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.

მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ნამყოფ

გიკენტი (ჭოლა)
ლომთათიძის

ამხანაგები და პატივისცემელნი აუწყებენ პატივცემულ საზოგადოებას, რომ განსვენებულის დაკრძალვა მოხდება დღეს, კვირას 15 გიორგობისთვეს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. ცხედარს გამოასვენებენ ქვაშვეთის ეკლესიიდან დილის 11 საათზე.

„საქართველოს“ **რედაქცია** მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ სარატოვში გარდაიცვალა **ქართველი მწერალი და მეორე სახ. სათათბიროს ნადეპუტატარი**

(ჭოლა) გიკენტი
ლომთათიძე
(სპირიდონ მცირიშვილი)

განსვენებულის ნეშტი გუშინ ტფილისში ჩამოასვენეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დღეს, წირვისა და წესის აგების შემდეგ, განსვენებულ წაასვენებენ კუკიის სასაფლაოზე დასაკრძალავად.

„წყნორის წყლის“ სადგურთან, სულ რამდენსამე ნაბიჯზე, თვით სადგურიდან, გაიხსნა

სასტუმრო „ჯუგაანი“

სასტუმრო მოწყობილია სუფთად და ევროპიულად ნომრებით და ბუფეტით

15—3 პატივისცემით ნიკო (კოლა) ზურაბის-ძე ზედელაშვილი

„ხარფუხის საზოგადო კლუბი“
(მიხეილის პროსპექტი № 129—131)

კვირას, 15 გიორგობისთვეს. **სამუსიკო საღამო.** ბ. პრესმანობის ლოტბარობით, ქ-ბ. ნ. ა. პრესინსკაიას მონაწილეობით. „სოპორნო“.

სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს 8 საათ. წარმოდგენების და კონცერტების საღამოს 8-ნახევარ საათზე.

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას ელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

ქ. გორში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს დოსტაქარი ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

კბილის ექიმი

ნინო რჩხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის

ქარხნები

მ. ე. ლალიძე და ამხ.

თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. **ქუთაისში,** პუშკინის ქ. № 5.

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **ხვან ყოველთვის** მხოლოდ და მარტო **მიტროფანე ლალიძის და ამხანაგობის ქარხნის** უკეთესი ხილეულ, მადნეულის სამკურნალო **წყალი. მხოლოდ ლალიძის წყალი მზადდება უმაღლესი ღირსების ბუნებრივი** მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, **მოითხოვეთ ყველგან** ნამდვილი **ლალიძის წყალი,** გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

1915 წლის 21 ნოემბერს, დილის 11 საათზე, ახალი კლუბის დარბაზში დანიშნულია ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წევრთა მორიგი

საზოგადო კრება

განსახილველი საგნები: 1) მოეხსენება წ. კ. გ. საზოგადოების 35 წლის მოქმედების შესახებ. 2) მოხსენება კავკასიის სამეფისნაცვლოს ქართველთა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირის დაარსების შესახებ და ჩ ჩვენი საზოგადოების ამ კავშირში წევრად შესვლა. 3) მოხსენება ქართველ მოღვაწეთა პანთეონისათვის დიდუბის ეკლესიის გალავანში სასაფლაო ადგილის შეძენის შესახებ. 4) მოხსენება საგურამოს მამულის შესახებ. 5) მოხსენება წიგნთსაცავ-მუზეუმის შესახებ. 6) განყოფილებათა ინსტრუქციის 4 მუხლის შეცვლის შესახებ. 7) სექციათა ინსტრუქციაში ზოგიერთ ცვლილებათა შეტანის შესახებ. 8) აკაკის მიერ ნაანდერძევი მამულის მიღების შესახებ. 9) მოხსენება საწევრო გადასახადის ერთ მანეთამდე შემცირების შესახებ. 10) მოხსენება ძველი ვალების განაღდების შესახებ. 11) 1914 წლის გამგეობის მოქმედების ანგარიში. 12) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 13) გამგეობის პასუხი საუევიზიო კომისიის შენიშვნების გამო. 14) 1916 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა. 15) ახალ წევრების მიღება.

სახალხო სახლი (ვ. ზუბალაშვილის სახელობისა)

ორშაბათს 16 გიორგობისთვეს

ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **პირველად**

ახალი ცხოვრება

პიესა 4 მოქ. პოტოპენკოსი, თარგ. ალ. იმედაშვილისა.

მონაწილეობს მთელი დასი **დასაწყისი საღამოს 8 საათზედ**

ადგილების ფასი სამი შაურიდან მანათ ნახევრამდე

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია **სამშაბათს 24 ნოემბერს.**

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგად.

მორიგი წევრი გამგეობისა **ი. გედევანიშვილი.**

ახლად გახსნილს ინტელიგენტურს სასადილო

„პეტროგრად“-ში

კრუზენშტეინის ქუჩაზე, „Тифл. Листок“-ის რედაქციის პირდაპირ

მზადდება ყოველნაირი

ევროპიული და აზიური საჭმლები

ძრიელ ხელმისაწდომ ფასებში: 2 თავი 50 კ. ხოლო სამი თავი 65 კაპ. თვიურად ფასდაკლებით, ე. ი. 2 თავი—13 მან., 3 თავი—16 მან.

შეიძლება ვახშმის შეკვეთა.

პატივისცემით **ს. კახეთელიძე და გ. არჩვაძე.**

25—10

ომის ამბები

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა

პეტროგრადი, 13 გიორგობისთვე. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. ბერზემიუნდესთან ბრძოლა მთელი დღე, გუშინ არც ერთი მხრის სასარგებლოდ არ დამთავრებულა. სალამოთი ბრძოლა შენელდა. სოფ. მინციუნთან ბრძოლაში, ვიძის ჩრდილოეთით, რუსებმა დაიჭირეს სოფლის ჩრდილოეთით ტყის ნაწილი. დანარჩენ ფრონტზე რიგის ყურიდან მოყოლებული პრიპიატამდე და მდ. სტირამდე სრული სიწყნარეა. დაბა ოლიკის რაიონში, როვნოსა და ლუცკის შუა, მტერი შეეცადა წინ წამოსვლას, მაგრამ შეშინდა, გზა არ მოგვიჭრანო და ისევ ძველს პოზიციებზე გამაგრდა. ფრონტის დანარჩენ ხაზზე ჩარტორისკის რაიონის სამხრეთით გალიციამდე სრული სიწყნარეა.

კავკასიის ფრონტი. მდგომარეობა უცვლელია.

ათინა, 12 გიორგობისთვე. ლესკოვაცთან სერბებმა გაიმარჯვეს და საშუალება აქვთ პრიშტინ-მონასტირისკენ დაიხიონ. ამ ნაირად, ბულგარებს გაუცუდდათ განზრახვა, რომ სერბებს რკინის რკალივით შემორტყმოდნენ. სერბები მაშველ ჯარების მოლოდინში არიან, რათა კოსოვოს ველზე გარდამწყვეტი ბრძოლა მისცენ მტერს. კოჩანიკის სექტორში სერბთა მდგომარეობა შესუბუქდა.

თეირანი, 13 გიორგობისთვე. ჰამადის ჟანდარმები მთავრობამ თეირანიდან გაიწვია, მაგრამ ესენი არ დაჰმორჩილდნენ და აშკარად მტრის მხარეზე გადავიდნენ. მთავრობამ იგინი მეამბოხეებად გამოაცხადა. ეს ამბავი ცუდს გავლენას ახდენს დანარჩენს ჟანდარმებზე და გერმანეთის ყურმოჭრილ მეგობრებს, შვეციელ ოფიცრებზე. გერმანელები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რათა სპარსეთისა და ინგლის-რუსეთის შუა განხეთქილება ჩამოაგდონ.

ცეტინიე, 12 გიორგობისთვე. მტრის ჰაეროპლანმა ყუმბარები ჩამოჰყარა სანჯიოვანი-დი-მელუაში, რომელიც იარალის მთავარ საწყობად ითვლება. ყუმბარებს საგრძნობელი ზარალი არ მიუყენებიათ.

პარიზი, 13 გიორგობისთვე. მთელს ფრონტზე სიწყნარეა. ვოგეზებში, განსაკუთრებით მდ. ვეხტსა და ტურის რაიონებში თოვლი მოვიდა.

რომი, 13 გიორგ. საარტილერიო ბრძოლა მწვავდება. მტრის ჰაეროპლანებმა ტოლმეცოში ყუმბარები ჩამოჰყარეს. ზარალი საგრძნობი არაა. გორიცასთან სასტიკი ბრძოლა გრძელდება. სენ მიქელთან 54 ავსტრიელი დავატყვევეთ.

სპარსეთში.

სტოკჰოლმი. ცნობა მოვიდა, სპარსეთში ჟანდარმერია აჯანყდა, შვეციელ ოფიცერთა მეთაურობითაო:

თეირანი. ქამადანიდან ყაზვინს მშვიდობიანად მიაღწიეს ინგლისისა და რუსეთის საკონსულოებმა და მოსახლობამ,

ჩინეთში.

ტოკიო. ტყვეობიდან გაპარული 5 გერმანელი ოფიცერი პეკინსა და შანჰაიში იმალება.

სერბეთში.

ათინა. სერბთა ჯარი, რიცხვით 40 ათასი კაცი, კაჩანიკიდან პრილეპისაკენ დაეშვა. შეიძლება მოკავშირეთა ჯარს შეუერთდეს. ერინიონსა და კრივოლაკს შუა ბრძოლა დაიწყო.

ბალკანეთში.

პარიზი. მოკავშირეთა ჯარი 10 გიორგობისთვეს კრივოლაკის აღმოსავლეთით დრუზიკთან ბულგარელებს შეებრძოლა და უკან დაახევინა.

დარდანელში.

პარიზი. საღამოს ცნობა. რამდენიმე ხანია დარდანელში ოსმალებმა მოქმედება გააძლიერეს. 8 გიორგობისთვეს სამჯერ მოიტანეს იერიში ჩვენს სანგრებზე მაგრამ უნაყოფოდ.

14 გიორგობისთვე.

საფრანგეთში.

პარიზი, არტუასა, ლოტარინგიასა, შუას მიდამოებში, ბოვრნესა და ლაკროუას შუა ზარბაზნის სროლა იყო. დანარჩენ ადგილებში მხოლოდ თოფის სროლა.

ბელგეთში.

ჰავრი, ბელგეთის ცნობა. გერმანელები ნიეუპორტეს მცირე ხნით ზარბაზნებს უშენდენ. დანარჩენ ადგილებში სრული სიწყნარე იყო. დარიგრახტენ-ლუიგენის მიმართულებით, ვიქტორიას ციხე-დარბაზის სამხრეთ-აღმოსავლეთით ბელგიელებმა მოპირდაპირის მუშები გაფანტეს.

სერბეთში.

კოპენჰაგენი, მაკენზენის მთავარ ბანაკიდან „პესტიხირლაპს“ ცნობა მიუღია: სერბიელებმა თავისი საუკეთესო ჯარებიდან ერთ ნაწილიდან ცალკე შეადგინეს ჯარი ახალ სარდლების ხელმძღვანელობით. ამ ჯარს მესამე რიგის ჯარი საფარად ჰყავს, თვითონ კი სამხრეთისკენ მიემართება.

დენი კოშენი საბერძნეთში.

ათინა, დენი კოშენს ათინის საპატიო მოქალაქის დიპლომი მიართვეს. ქალაქი გაჩირაღდნებულია. დენი კოშენი ხვალ მიდის ათინიდგან.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ახალი გამარჯვება.

ბულგარებს პრიშტანის მახლობლად გაუმარჯვნიათ. 1800 სერბი წამოუყვანიათ ტყვედ. ბრძოლა გრძელდება.

ჩარტორიისკთან.

ჩარტორიისკიდან გამოქცეულთა სიტყვით, ჩარტორიისკი მთლად გადაბუგულია გერმანელთა ყუმბარებით. ორი კვირა განუწყვეტელი ბრძოლა იყო. ჩარტორიისკის მახლობლად მდებარე სიმაღლეების დასაპყრობად. გერმანელებმა როცა ეს სიმაღლე აიღეს, მაშინვე მძიმე ზარბაზნები დასდგეს და საშინელი სროლა ასტეხეს.

რუსებმა საშინელი სროლით უპასუხეს და გერმანელები იძულებული გახდნენ უკან დაეწიათ. მაშინ ზარბაზნის ცეცხლი ჩარტორიისკიზე მიმართეს. მთელ დაბას ყოველ მხრივ ცეცხლი მოედო. მცხოვრებლებმა ძლივს გამოასწრეს. (რ. ს.)

ბრძოლის სიძნელე.

გერმანელთ ძლიერ უძნელდებათ ბრძოლა სერბეთის ფრონტზე. ზამთარმა უსწრო. მწვერვალისკენ წელამდე თოვლის გარღვევა უხდებათ. ქარიშხალი, ნამქერი და აუწერელი დაბრკოლებანი ეღობებიან წინ. მდინარეებმა ნაპირზე გადმოხეთქეს. ღელეებში შეუძლებელი გახდა სიარული. სერბებმა უკან დახევის დროს ხიდები ააფეთქეს. ახლა გერმანელები იმას-ღა სცდილობენ რომ პონტონის ხიდები მაინც გადაჰკიდონ. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ მიმავალ არმიას ადგილობრივ ყოველისფერი განადგურებული ხვდება და უკანიდან კი სურსათის მიწოდება უგზოობისა გამო ფრიად უძნელდებათ.

პასუხად ინგლისელებს.

ინგლისელებმა განაცხადეს, ჩვენ ადამიანური ზომები გვსურს მივიღოთ ბალკანეთში და არა მხეცურიო. ამას ვერასგზით მიხვდებიან ბალკანეთშიო. ამიტომ საბერძნეთს რაოდენადმე მოხსნა ბლოკადა. სამაგიეროდ ბერლინიდან უპასუხეს ინგლისელებს: „საბერძნეთს თქვენი რისხვისა არ ეშინიან, რადგანაც ყოველი საჭირო რამ პირდაპირ ბულგარეთიდან შეუძლიან მიიღოსო. ამასთანავე საბერძნეთმა კარგად უწყის, რომ მის ხელში კარგი მძევლებია—მოკავშირეთა ჯარები მაკედონიაშიო.

იტალეთ-გერმანეთი.

ნამდვილი ცნობა მოვიდა, რომ ხმელთა შუა ზღვაში გერმანელებს დაუღუპავთ იტალიელების გემები. იტალიური გაზეთები სწერენ: როდემდის უნდა გაგრძელდეს გადაჭრილი ზომების მიღება ჩვენი აშკარა მტრის წინააღმდეგაო?

ბულგარეთი.

ბულგარეთის პრემიერს რადოსლავოვს პარლამენტის წარმომადგენლ[illegible] მიუღია. პრემიერს მათთვის ფრ[illegible] მდგომარეობა და ბალკან[illegible] პოლიტიკური მდ[illegible] ბებია და უ[illegible]ებამს: ოსმალეთს და ავსტრო-[illegible] მიემხრო, სასურველი ნაყოფიც გამოიღო. რაც შეეხება ნეიტრალ სახელმწიფოებს: რუმინეთს და საბერძნეთს, მათგან არავითარი უსიამოვნება არ მოგველისო.

ბულგარეთის ახალი ჯარი.

„Secolo“ იტყობინება სოფიიდან: ბულგარეთის სამხედრო მინისტრს განუზრახავს ჯარში გაიწვიოს ყველა, ვისაც კი იარაღის ხმარება შეუძლიან. ამ სახით შეიკრიბება ახალი 500,000 ჯარისკაცი. გერმანი ჰპირდება მათს შეიარაღებას.

ბუკოვინაში.

ცნობებია, დიდიხნის შეჩერების შემდეგ, ბუკოვინაში საომარი მოქმედება კვლავ გაცხოველდა.

ჰაერის ფლოტი.

ფრანგული გაზეთი „Aerophile“-ი იუწყება თუ რა ზომებს მიჰმართეს გერმანელებმა, რომ ჰაერის ფლოტი უჩინარ ჰყონ. დირიჟაბლების დასაფარავად მოუგონიათ ისეთი სახურავები, რომელთა ელვარება ყოველ გვარ ფერს აკრთოლებს, ჰაეროპლანებისთვის კი მხოლოდ გამჭვირვალე ფრთები მოუგონიათ. ამიტომ „ცეპელინები“ პირველად ალიუმინით დაუფარავთ, რომელიც ვერცხლისფრად ბრწყინავდა და 3200 მეტრის მანძილზე უკვე უჩინარი ხდებოდა. შემდეგ ცისფრად შეჰღებეს, ხოლო ამ უკანასკნელ ხანში სახურავს ჰღებავენ ვერცხლისა და მტრედის ფერად, ასე რომ მზეში იგი ვერ იბრჭყიალებს, ხოლო ღრუბლიან დღეში ახლოდანაც სრულიად უჩინარია. რაც შეეხება ჰაეროპლანს, მის ფრთებს ეხლა „ცელონიდან“ აკეთებენ და იმდენად გამჭვირვალეა, რომ 400—500 მეტრზეც ვეღარ ამჩნევენ. „ცელონი“ საგანგებოდ გამოუგონია ინჟენერ კლიუბელს. საზოგადოდ „ჰაეროპლანიც“ და ცეპელინიც“ საოცრად შეუცვლიათ როგორც გარეგნულად, ისე ტეხნიკურ აგებულობით, რის გამოც ორთავე საოცარის სისწრაფით მოძრაობს და ახლო მანძილიდანაც კი თვალიდან ეკარგება ადამიანს.

ჰინდენბურგის განკარგულება.

„Morn. Post.“-ი იტყობინება: ფელდმარშალმა ფონ-ჰინდერბურგმა განკარგულება გასცა: რაწამს ჯარისკაცებს გერმანეთიდგან წერილი მოუვათ წაკითხვისათანავე უნდა დახიონ და გადაჰყარონ, ხოლო სახლში გასაგზავნი წერილი დაწერვის შემდეგ, 24 საათის განმავლობაში უსათუოდ უნდა იგზავნებოდესო. ეს ზომა იმითაა გამოწვეული, რომ თუ ვინიცობაა ტყვედ ჩაუვარდნენ მტერს. წერილების მიხედვით მტერმა არ შეიტყოს ჯარის საბანაკო ადგილები და გერმანეთის შინაური მდგომარეობა.

ბერლინ-სტამბოლის გზა.

„დენ“-ი სწერს: გერმანელებმა უკვე მიაღწიეს იმ მიზანს, რომლის გულისთვისაც სერბეთზე გაილაშქრეს. ეხლა ბელგრად-ნიშის მხარე თუმცა მთლად მათს ხელში არ არის, მაგრამ მდ. დუნაის საშუალებით და მერე ნეგოტინიდან ნიშა და შემდეგ ნიშ-სოფიის რკინის გზით სტამბოლში საქონელი და ყოველგვარი სურსათი დაუბრკოლებლივ იგზავნება. გერმანეთს სრულიადაც არ განუზრახავს სერბეთის შემუსვრა და მოსპობა. ეხლა სერბეთიდან ჯარი სხვა ადგილებში გადაჰყავს. არც ბულგარეთი წავა წინ, მან თითქმის დაიპყრო მთელი სერბეთის მაკედონია, იმ ნაწილის გარდა რომელიც საბერძნეთის უფლებათაა გადადებული, მონასტირთან მხოლოდ მაშინ არის მოსა[illegible]ლი ბრძოლის გაჩაღება, თუ მოკავშირეები დიდ ძალ ჯარს მოიყვანენ. ამ მხრივ საბერძნეთის რაიმე გადაჭრილ ნაბიჯს დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

კეკლუცი ოცნებანი.

ბულგარეთი როდი მალავს, თუ რა კეკლუც ოცნებით ირთობდა თავს: ჩვენაო, ამბობენ ისინი,—ჩვენის ნებით ჩავერიეთ ამ ომში, რადგანაც გვსურდა ჩვენის სამეფოსთვის შემოგვეერთებინა მაკედონია. ჩვენ გაცილებით მეტი იარაღი და სამხედრო სამზადისი გვქონდა, ვიდრე სერბეთს. მას შემდეგ, რაც ავსტრო-გერმანელთა ჯარებს შეუერთდით, ეხლა იარაღი თავზე საყრელი გვაქვსო. ბულგარეთს ომის გართულება არ სურდა. მისი მიზანი იყო მხოლოდ სერბეთის წინააღმდეგ ეშიშლა მახვილი და ზავის პირობები ეკარნახნა მისთვის. ბულგარეთს სრულიადაც არ ეინტერესება სერბეთის მოსპობა, პირიქით, მისთვის გაცილებით ხელსაყრელი იქნება, თუ კი იგი ერთგვარ ბუფერად იქნება ჩაჩხირული ავსტრიისა და მის შუა. ყოველ[illegible]ხევაში მათ სჭიროდათ სერბე[illegible] დამორჩილება და სეპარა[illegible]ხის შემდეგაც სხვა სა[illegible] ცალ-ცალკე, მის მავა[illegible]ანაძალდენენო.

უკანასკნელი ფოსტა

რუმინეთში.

გაზ. „ეპოხა“ მთავრობას შეეკითხა: [illegible] თუ არა მთავრობამ, რომ ავსტრიელებმა დუნაიზე მდებარე კუნძულ ჟურავაიზე ჯარი გადასხეს და დუნაიში ნაღმებს აწყობენო? იცის თუ არა, რომ რამდენიმე დღის წინად გერმანელთა სამხედრო გემი ამ კუნძულთან გაჩერდა, ჯარი გადასხა და იქიდან რუმინეთის ჯარს უთვალთვალებს?

— „Corriere della sera“-ს ცნობით გერმანელები დიდძალ ფულს ჰგზავნიან რუმინეთში, ხალხის მოსამხრობად. უნიატების ფედერაციები დიდ აგიტაციას ეწევიან ავსტ.-გერმანელთა სასარგებლოდ.

სერბეთში.

ავსტ.-გერმანელთა ჯარი იბარის ველში დრიანას უახლოვდება. აქ ცხარე ბრძოლაა.

კრუპის ახალი გამოგონება.

„Daily Teleg.“-ი გადმოგვცემს, კრუპის ქარხანაში დაამზადეს ცეპელინების დასამზადებელი გადასატან-გადმოსატანი მოწყობილობა.

შვეციაში.

„Morgenbladet“-ში მოთავსებულია გილდენბრანტის წერილი, სადაც ნათქვამია: შვეციის მახვილი მზად უნდა ეჭიროს და რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს ნეიტრალად.

— სერბეთის მთავრობამ პრიზრენი მიატოვა.

— მაკენზენი ალბანეთში ორ ახალ კორპუსს ჰგზავნის.

— ცრნის მარცხენა ნაპირზე ფრანგებმა უკან დაიწიეს გამაგრებულ ადგილებისაკენ.

საბერძნეთში.

„Agenzia libera“ სწერს: ვენიზელოსი არჩევნების დროს საბერძნეთიდან მიდისო.

ფერდინანდის აზრი.

ბულგარეთის მეფე ფერდინანდს რუსეთის დესპან სავინსკისათვის უთქვამს: „სანამ ბალკანეთში ვიმყოფები, ბულგარეთ-რუსეთის შემაერთებელი ხიდი ჩატეხილი დარჩებაო,

სპარსეთში.

ამბობენ ოსმალეთის კონსული თეირანში აპირებს დაბრუნებას, რათა შაჰზე გავლენა მოახდინოსო.

შავ-მთაში.

მეფე პეტრე, პაშიჩი პუტნიკი და დიპლომატთა კორპუსი იძულებული გახდნენ სკუტარიში გადასულიყვნენ. გერმანელებს ბეჯითად გადაუწყვეტიათ შავ-მთიელნი ერთის დაკვრით გასრისონ. ამის გამო ავსტრიის სამხედრო გემები ალბანეთის სანაპიროებს მიადგება, ჯარს გადასხავს, რომ შავ-მთიელთ სურსათის გზები მოუჭრას.

მიტროვიცისა და პრიშტინის ჩრდილოეთით ბრძოლაა. შავ-მთიელთ ახალ ბაზრის სანჯაკში ბრძოლის შემდეგ უკან დაიხიეს ლიმანოს დასწვრივ.

ბრძოლის ველზე

ბერზემიუდესთან ბრძოლამ მკაცრი ხასიათი მიიღო. რამდენიმე დღეა, რაც იქ განუწყვეტელი შეტაკება მოსდით გერმანელებსა და რუსებს. 12 გიორგობისთვეს მთელი დღე ბრძოლა არ შეწყვეტილა, მაგრამ გამარჯვება არც ერთ მხარეს არ ჰრგებია. მოპირდაპირეებს შეტაკება მოსვლიათ აგრეთვე ვიდზის ჩრდილოეთით, სოფელ მინციუნთან. აქ რუსებს ხელში ჩაუგდიათ ამ სოფ. სამხრეთით მდებარე ტყე. დანარჩენ ადგილებში, რიგის ყურედან მდ. პრიპეტამდე და არც სტირის რაიონში სიწყნარე არ დარღვეულა. უფრო სამხრეთით როვნოსა და ლუცკის შორის გერმანელებს შემოტევა დაუწყიათ მაგრამ იძულებულნი გახდარან ამაზე ხელი აეღოთ. ასევე უნაყოფოდ ჩაუვლია გერმანელების ცდას სოფელ იანოვკას ასაღებად.

დანარჩენ ფრონტზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

კავკასიის ფრონტზე ღირსშესანიშნავი არა მომხდარა-რა.

მეგრი.

თბილისი, 15 გიორგობისთვე.

კარგი რამ „როგორც უწმ. სინოდ **გვჭირდეს...** დის ოფიციალი ორგანო „საეკლესიო უწყებანი“ გადმოგვცემს (№ 44) უწმიდეს სინოდის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დაუმტკიცებია ერევნის ეპისკოპოსი ლეონტი“. ეს ამბავი ჩვენის გაზეთის მე-142 №-ში გაზლდათ მოთავსებული. როგორც ვიცით, ამ თანამდებობას უწინ ეპ. ანტონი ასრულებდა. სხვა დროს და სხვა გარემოებაში შესაძლებელია ამ ამბისთვის ყურადღება არც კი მიგვექცია, მაგრამ დღეს დადუმება შეუძლებელია. საგულისხმიეროა, რომ ეს ამბავი მოხდა სწორედ ეგზარხოს პიტირიმის გამგზავრების დღეს. ალბად, ეს ერთგვარი გვირგვინი თუ გახლავთ მათი მეუფე[illegible] მოღვაწეობისა. იმ დროს, როდესაც ივერიის ეკლესიას ბევრი რამით და მრავალ მხრით აიმედებდა, იმ დროს, როდესაც აღარ ვკრძალებით თვით ავტოკეფალიის საკითხს გულახდილად ვარკვევდეთ შინაურულად მაინც, ჩვენს ოჯახში, იმ დროს, როდესაც თვით ბიუროკრატი დურნოვო ივერიის ეკლესიას უფროსობას ათმობინებს და უწმ. სინოდიდან გამოყოფას უკარნახებს, ჩვენს სამღვდელოებას დასცინის, რატომ რუსულ გემოვნებაზე იცვამთ და ძველს, ეროვნულ სასულიერო სამოსის არსებობაც კი აღარ უწყით, და სხვა და სხვა, იმ დროს ვიმეორებთ, როდესაც ჩვენს ეკლესიის უფლებათა აღდგენის საკითხის აღძვრას გადაჭრას გვპირდებიან შინ თუ გარედ,—აი ასეთი მცირე უფლებანიც კი, როგორიც არის სრულიად საქართველოს საეკლესიო სკოლების საოლქო საბჭოს თავმჯდომარეობა,—ჩვენს მღვდელ-მთავრებს ხელიდან ეცლებათ, ამის უფლებებსაც კი აკვეცენ მათ. არ ვიცით, მაინცა და მაინც, მაშ რაღად გვჭირიან ჩვენი მწყემსმთავარნი? აქვთ მათ რაიმე უფლება თუ მარტო მსახიობად ჰყავთ დანიშნულნი, სადეკორაციო პიროვნებად? თუ ეს ასეა, მაშინ სულ ფუჭი ყოფილა ამდენი დაპირებანი და სანუკვარი აღთქმანი. ივერიის ეკლესია ისევ უფლებათა შეკვეცას უნდა ელოდეს, ვიდრე აღდგენა-გაფურჩქვნასა. ამის მაგალითები ბევრი გვინახავს ძველად და ვხედავთ დღესაც. მაგრამ ამაში ჩვენს სამღვდელოებასაც უძევს ბრალი,

ჰხედავენ, რომ თვით დურნოვოს ვექილობაც ვერ შველის, მაგრამ მაინც იმედოვნებენ. არავითარი თვითმოქმედება.

რომ ეხლა აღარაფერი არ გვაკვირვებს. ასეთი ამბავი ჩვენში მხოლოდ უმაღლეს აღელვებას იწვევს ჩვენივე სამღვდელოების წინააღმდეგ და არა რუსის ბიუროკრატიისო, რომელიც ჩინებულად ასრულებს მოვალეობას. მაგრამ „კარგი რამ გვჭირდეს გვიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო“,—თქმულა ძველთაგან შოთას პირით და ამიტომაც აღარა გვიკვირს რა, თუ დღითი-დღე ჩვენს დაკნინებაზე ჩვენვე გულცივად როგორ გვასეირებენ.

ახალი ამბავი

◆ **ჭოლა ლომთათიძის გარდაცვალების გამო.** ცხედარი მოასვენეს თბილისში რკინის გზით გუშინ, 14 გიორგობისთვეს, ნაშუადღევს 1 საათზე. რკინის გზის სადგურიდან ცხედარი გაასვენეს ქვაშვეთის ეკლესიაში ნაშუადღევს 3 ნახ. საათზე. პროცესიას დიდი ხალხი დაესწრო. დღეს ქვაშვეთის ეკლესიაში წირვას გადაუხდიან განსვენებულს. მწირველია დეკანოზი კალ. ცინცაძე. განზრახულია მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოითქვას წირვის შემდეგ ეკლესიის გალავანში.

◆ **თათბირი სასახლეში.** როგორც მოხსენებული გვქონდა ჩვენს გაზეთში, განსაკუთრებული თათბირი სასახლეში, მოწვეული საკვებ მასალის და საცხოვრებელ ბინების სიძვირესთან საბრძოლველად სამ სექციათ იქმნა დაყოფილი: სატრანსპორტო, საკვები და სამოსახლო. პირველ სექციის პრეზიდიუმს თავმჯდომარეობს ქალაქის გამგეობის წევრი. მ. ა. ჯაბარი, მეორე სექციას—ქალაქის თავი ა. ი. ხატისოვი, ხოლო მესამეს—ქალაქის გამგეობის წევრი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი.

სატრანსპორტო სექციაში მხურვალე კამათი გამოიწვია რკინის გზის უწესრიგობამ, რომელსაც ურიცხვ ფაქტებით ამოწმებენ. მთავარი ყურადღება მიექცა საქართველოს სამხედრო და შარა გზებს, რომლებზედაც გაცხოველებულ უნდა იქმნეს საქონლის ტრანსპორტები. ირჩევა აგრეთვე საკითხი საქონლის ღზვით ზიდვის შესახებ (შავსა და კასპიის ზღვებზე). სექციის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ: სამხედრო მიმოსვლის უფროსი გენ.-მ. კარპოვი, რკინის გზებისა: კავკავისა ინჟ. კრიგერ ვოინოვსკი და ამიერ კავკასიისა გენ.-მაიორი ვასილევსკი, სამხარო ოლქის უფროსი გენ.-ლ. პოროშინი, შავი ზღვის პირის გუბერნატორი და უფროსნი ყველა საზღვაო-სანავსონო პორტებისა.

სამოსახლო სექციამ დაასრულა თავისი მუშაობანი. სექციამ მიიღო რა მხედველობაში, რომ საბინაო საკითხმა დიდი განწვავებული ფორმა მიიღო სახლის პატრონთა და მოიჯარადრეთა აულაგმებელ ფასების აწევით ამ ბინებზე, სურვილი გამოსთქვა რომ საცხოვრებელ ბინების ფასს ფიქსაცია (კონტროლი) გაუწიოს იმ ფასებისა დაკვალად როგორც ეს შემუშავებული ჰქონდა სახარჯო ინსპექციას ამა წლის 1 იანარისათვის, როცა სახელმწიფო საბინაო გადასახადებს აწერდა. რაც შეეხება იმ ბინებს რომელსაც შეწერილი აქვს საბინაო გადასახადი, მათ შეფასების დროს უნდა იხელმძღვანელონ, როგორც სახარჯო გამგეობის ისე ქალაქის გამგეობათა ცნობებით. ამ კატეგორიის ბინებისა და ოთახების კანტროლის გასაწევათ, რომელსაც აქირავებენ არა სახლის პატრონები არამედ მდგმურები თავის მხრივ. დადგენილ იქმნა ქალაქებში მოეწყოს ფართე ორგანიზაცია საუბნო და ცენტრალ, საცხოვრებელ ბინათა შესახებ, კომიტეტები, სადაც გარდა ხმოსნებისა შევლენ წარმომადგენელნი სხვა საზოგადო ორგანიზაციებისაც. პასუხისგების გასაძლიერებლად, ამ დადგენილებათა დამრღვეველებზე, გარდაწყვეტილია, რომ ეს დადგენილებანი ძალის მხრივ შეუფარდონ საგუბერნიო დადგენილებათა კატეგორიას, რომლის ძალით დამნაშავენი მეტად ისჯებიან, ვიდრე ქალაქის საბჭოს სავალდებულო დადგენილებათა დამარღვეველნი.

საკვებ სექციაში დასრულდა მუშაობა საოლქო და საგუბერნიო საკვებ კომიტეტების შეერთებისა. გუშინ საღამოს დაიწყო მუშაობა ამ სექციისა სხვა საკითხთა შესახებ. მუშაობაში მონაწილეობას იღებენ კავკასიის ყველა გუბერნატორები და მიწად-მოქმედების დეპარტამენტების რწმუნებული ბ-ნი შაშკოვსკი.

◆ **ჭოლა ლომთათიძის გარდაცვალების გამო.** „დენ“-ში სათათბიროს დეპუტატი აკაკი ჩხენკელი მადლობას უცხადებს პეტროგრადის სამკურნალო ინსტიტუტის მსმენელ ქალთ, რომელთაც მეორე სათათბიროს ნადეპუტატარ ჭოლა ლომთათიძის დასაკრძალავად ს. დ. ფრაქციისათვის 113 მან. გადაუციათ.

◆ **კავკასიის მეფის ნაცვალს** მინისტრთა საბჭომ უფლება მისცა, სავალდებულო დადგენილებანი გამოსცეს, ბაქოს საქარხნო და სამრეწველო ადგილთა მოსახლეობისათვის სასანიტარო წესების გამოცემისა.

◆ **უმაღლესად დამტკიცებულ დებულების** ძალით ქ. დუშეთში არსდება ქვეითა ჯარის პრაპორჩიკთა მოსამზადებელი სასწავლებელი 400 კაცისათვის.

◆ **მინისტრთა საბჭომ დაადგინა:** ოჯახურ მდგომარეობით შეღავათ მიუცემელ ჯარში გასაწვევთ 1915 წ. და 1916 წლებისას, ეს შეღავათები მოესპოთ, იმ პირთა გარდა, ვინც სწავლობს ან სახელმწიფოს თავდაცვის სამრეწველოებში სპეციალისტად მსახურობს.

◆ **სამადლობელი დეპეშა. მეფის ნაცვალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ,** შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა პეტროგრადში **თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილს:**

„გულით გმადლობთ თქვენ და თავად ნიჟარაძეს ჩემთვის ღვთის ვედრებისა, მოლოცვისა და კეთილ სურვილებისათვის. გენერალ-ადიუტანტი ნიკოლოზი“.

ეს დეპეშა პასუხია იმ მისალოცი დეპეშისა, რომელიც მის იმპერატორებითი უმაღლესობას პეტროგრადიდან გამოუგზავნეს თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა და თავ. დ. ო. ნიჟარაძემ:

„უერთგულესად გილოცავთ, თქვენო იმპერატორებითო უმაღლესობავ, თქვენი დაბადების დღეს. ვევედრებით უფალს, მოგანიჭოს თქვენ კიდევ მრავალ წლის განმავლობაში ძალ-ღონე და ჯანსაღობა სამხიარულოდ და საბედნიეროდ უმაღლესად მონდობილ თქვენდამი ქვეყნისა“.

◆ **მინისტრთა საბჭომ** 6 გიორგობისთვის სხდომაზე დაადგინა: 1) 5 მილიონი მანათის სესხი მიეცეს ჩრდილოეთის რკინის გზების სატრიალებელ თანხის გასაძლიერებლად. 2) ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის გზების, სად. გოგასა და ლისსინოს შესაერთებლად გადაიდოს 2 მილიონი 800 ათასი მანეთი.

◆ **თავ. დ. ო. ნიჟარაძე,** დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა მარშალი, პეტროგრადიდან უკვე დაბრუნდა და ამ ჟამად თბილისში იმყოფება.

◆ **სამუსიკო საღამო.** დღეს ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართება სამუსიკო საღამო, ბ. პრემანის ლოტბარობით და ქ-ბ. ნ. ა. პრესინსკაიას მონაწილეობით. შესრულებული იქნება რუსულ და ევროპიულ კომპოზიტორთა ნაწარმოებნი. დასაწყისი საღამოს 9 საათზედ, საღამოზედ შესვლა უფასოა.

◆ **საქართველოს ღვთის-მშობლის ხატი.** თანახმად თბილისში მიღებულ სატელეგრაფო ცნობისა სინოდში ისმება საკითხი არხანგელსკის ეპარქიის ერთ-ერთ სიწმიდის—სასწაულმოქმედ საქართველოს ღვთის-მშობლის ხატის გადატანის შესახებ კავკასიის ბრძოლის პირზე.

◆ **ქართული წარმოდგენა სახალხო თეატრში.** ორშაბათს, სახალხო თეატრში დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პოტაპენკოს ცნობილი პიესა „ახალი ცხოვრება“. მთელი დასი მონაწილეობს.

◆ **უბედური შემთხვევა.** გუშინ, 13 გიორგობისთვეს, ერევნის მოედანზე გაქანებული სამხედრო ავტომობილი დაეჯახა ინტელიგენტ ქალს და მძიმედ დააშავა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ **ქალაქის მამულთა მეეზოვეებმა** ქალაქის გამგეობას სთხოვეს, რომ ქურქები და შუშა მოგვეცითო.

◆ **გადამდები სენი.** 13 გიორგობისთვეს ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ხოლერიანი 16, ქუნთრუშიანი 133, სახადიანი, საოფლიანი 44, ხუნაგიანი 16, მუცელაიანი 3 და ყვავილიანი 2 კაცი.

◆ **საბჭოს კრება.** 16 გიორგობისთვე უნდა შესდგეს ქალაქის საბჭოს კრება. სხვათა შორის საბჭო განიხილავს გამგეობის მოხსენებას ტრამვაის ნაკლულევანებისა და შრომის ბირჟის შესახებ.

◆ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** 19¹⁴/₁₅ წლის სეზონი ღვინობისთვის 30-ს დასრულდა. გაწესრიგებული საქმიანობა საზოგადოებამ 1915 წ. 15 იანვრიდან დაიწყო. 15 იანვრიდან 30 ღვინობისთვემდე საზოგადოების საქმიანობა შემდეგში გამოიხატებოდა: კრება გაიმართა თექვსმეტჯერ, მათ შორის ერთი ფასიანი დილა, ერთიც კ. ბალმონტის პატივსაცემლად გამართული საღამო. ამის გარდა საზოგადოების საბჭოს თაოსნობით მოეწყო 1 აშუღების საღამო.

ჩვეულებრივ 14 კრებას დაესწრო საერთო რიცხვით 1,134 საზოგადოების წევრი და გარეშე პირი, ხოლო ფასიან დილას, აშუღების საღამოს და კ. ბალმონტის პატივსაცემლად გამართულ დილა-საღამოებს და კრებებს 2,934 ადამიანი დაესწრო.

კრებებზე წაკითხულ იქმნა 14 მოხსენება, მათ მიერ გამოწვეულ კამათში მონაწილეობა მიიღო 88 პირმა.

მოხსენების გარდა საბჭოს თაოსნობით გაიმართა 3 საუბარი სხვა და სხვა საგნის გამო, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო საერთო რიცხვით 46 მოლაპარაკემ.

ამავ ხნის განმავლობაში საბჭოს 26 კრება ჰქონდა.

დღემდე საზოგადოებაში ირიცხება 216 წევრი, მათ შორის: 14 საპატიო, 192 ნამდვილი და 10 დამხმარე.

◆ **ნინო ნიკოლოზის ასულმა, ღენერალ გაბაშვილის მეუღლემ** ქართველ ქალთა ამხანაგობის ჰრა-კერვის სკოლას ათი თუმანი შესწირა სკოლის შენობის საძირკვლის პირველი აგურის ჩასაგდებად.

მისივე დახმარებით ქართველ ქალთა ამხანაგობის ჰრა-კერვის სკოლის გამგეობა 4 ქრისტეშობისთვეს სახაზინო თეატრში დასდგამს ოპერას „ჟიდოვკა“ (ებრაელი ქალი).

◆ **თბილისის ფარმაცევტები.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, 21 ღვინობისთვეს აფთიაქებში მოსამსახურე ფარმაცევტებმა თავიანთ შორის აირჩიეს საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა მიიღოს ღონისძიება, რათა აფთიაქების პატრონებმა გააუმჯობესონ მდგომარეობა თავიანთ მოსამსახურე ფარმაცევტებისა და აფთიაქის შეგირდებისა. კომისიამ უკვე დაასრულა მოლაპარაკება კოჩინევთან, გლეზერთან, შენგარდტთან, ლიბიხთან და მაკკერთან. აღნიშნულ პირთა აფთიაქებში შემოღებულ იქმნა შემდეგი ნორმა: შეგირდებს პირველი წლის განმავლობაში თვიურად მიეცემათ 40 მან., მეორე წლისა 50 მან. და მესამესი—55 მან., აფთიაქარის თანაშემწეს 80—90—100 მანეთი. სანამ სიძვირე არსებობს, ეს ჯამაგირი გადიდებულია გლეზერისა და შენგარდტის აფთიაქებში 10 პროცენტით მაკკერისა და კოჩინევის აფთიაქებში ვისაც 40—50 მანეთი ეძლევა, მიემატება 25 პროცენტი, ვინაც 50 მანეთზე მეტს იღებს 100 მანეთამდე, მიემატება 20 პროცენტი, ხოლო ვინაც 100 მანეთზე მეტს იღებს, მიემატება 15 პროც. მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს კომისიას დანარჩენ აფთიაქების პატრონებთანაც.

◆ **სასანიტარო და საევაკუაციო** ნაწილის მთავარ უფროსმა ბრძანება გასცა ყველა ორგანიზაციის საქალაქო და კერძო სამკურნალო დაწესებულებისა რომ დაექვემდებარნენ ყველა კანონიერ მოთხოვნილებებს ადგილობრივ მთავრობისას.

◆ **დაჭრილთა რიცხვი.** რწმუნებულმა კავკასიის ქალაქთა კავშირისამ წინადადება მიიღო სასანიტარო და სამკურნალო ნაწილის მთავარ უფროსისაგან აცნობოს რიცხვი ომში დაყრუებულ და დამუნჯებულთა რიცხვი ერთად ცალკ ცალკე და რამდენია ამათგანი ღონისძიების აღმოჩენის ღირსი.

◆ **წითელ ჯვრის** მთავარ რწმუნებულმა მოსთხოვა ქალაქთა კავშირის რწმუნებულს მიიღოს შესაფერისი ზომები დაჭრილ და დაავადებულ მეომართა ევაკუაციის დროს შეფერხების თავიდან ასაცილებლად.

◆ **თათარიანის ძებნა.** დეპეშათა სააგენტო 11 გიორგობისთვეს გადმოგვცემს: კონსტანტინეპოლიდან იტყობინებიან, სამხედრო სასამართლომ წიგნების გამომცემელ თათარიანს სასამართლოს წინაშე წარსადგომად ათი დღის ვადა მისცა. თათარიანს ბრალდება სურათების დაბეჭდვა და გავრცელება. გამოცემაში დახატული ყოფილა „დამოუკიდებელი სომხეთი“ რუქა და პორტრეტები, რომელთაც თათარიანი სომხის გმირებად იხსენიებს. უკეთუ თათარიანი არ გამოცხადდება განაჩენს მის დაუსწრებლად დაადგენენ. რადგანაც თარარიანი იმალება, ოსმალეთის პოლიცია ქრისტიანების ბინებს სჩხრეკს.

◆ **ხარფუხის ქართული დრამატიული წრე და ქალაქის თვითმართველობა.** კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსმა ღენერალმა ვოლსკიმ, იმ საჩივრის შესახებ, რომელიც ატეხილი იყო წრესა და თვითმართველობის შორის, შიოევისეული მამულის შესახებ, სადაც მოთავსებული იყო წრის გამგეობა და ქართული წრის სახალხო აუდიტორია და რომელიც უკანონოდ დააცლევინა ქალაქმა, 15 ღვინობისთვეს № 17618, მისწერა ქალაქების კავშირის რწმუნებულს, ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვს, რომ დაუყონებლივ განთავისუფლოს ზემოდ აღნიშნული სახლი.

რადგანაც ბ-ნმა ხატისოვმა, არ მოიყვანა სისრულეში ღენერალ ვოლსკის განკარგულება, ამიტომ მას ხელმეორედ, 25 ღვინობისთვის თარიღით № 1[illegible] [illegible] ქაღალდი, დაუყონებლივ [illegible] სისრულეში ზემო აღნიშნული განკარგულება.

რადგანაც, ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ალ. ივ. ხატისოვმა, კვლავ არ მოიყვანა სისრულეში სამხედრო ოლქის უფროსის განკარგულება, ამიტომ, ღენერალ ვოლსკის კანცელარიამ, მისის ბრძანებით, მისწერა ქ. ტფილისის პოლიციიმეისტერს, 7 გიორგობისთვის თარიღით № 18965, მოახდინოს განკარგულება, რომ „შიოევისეული სახლი, რომელიც იმყოფება აბანოების ქუჩაზე, დაუყონებლივ გაანთავისუფლოს ყოველ გვარ ქონებისაგან, რომელიც აწყვია ამ შენობაში, ეკუთვნება იგი კავკასიის ქალაქების კავშირს, თუ ტფილისის ქალაქის თვითმართველობას.

ქუთაისი.

— ქუთაისში ჩამოვიდა სახადის საწინააღმდეგოთ ამცრელი რაზმი, რომელსაც ქალაქის გამგეობამ ავადმყოფების მისაღებად ქალაქის უფასო სამკურნალოს სადგომი დაუთმო:

— დავით კლდიაშვილის სახელობის სამკითხველოს სამზრუნველო კომიტეტს განზრახვა აქვს, საფირჩხიაზე ააგოს საკუთარი დიდი შენობა, სადაც მოთავსებული იქნება სამკითხველო. აქვე სახალხო წარმოდგენები გაიმართება.

— 21 გიორგობისთვეს ქუთაისში მოხდება ქუთაისის მაზრის წვრილი კრედიტის ამხანაგობათა წარმომადგენლების კრება. ითათბირებენ სიძვირის საწინააღმდეგო ზომების მიღებას და გამოარკვევენ თუ შაბიამანი საი[illegible] დაიბარონ.

— წარმოდგენების საქმე ქუთაის[illegible] ძალიან ცუდად მიდის. საზოგადოება ორგინალურ პიესებზედაც ნაკლებად ესწრება. მსახიობები მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან.

— ქუთაისის ქალაქის მოურავმა თბილისის მოურავიდან რამდენჯერმე მიიღო წინადადება, გაეგზავნა ცნობები თუ რამდენი გადმოხვეწილი სომეხი არის ქუთაისის გუბერნიაში. ოფიციალური ცნობების შეკრების შემდეგ გამოირკვა, რომ გადმოხვეწილი სომხები ქუთაისის გუბერნიაში სულ არ არიან. არის მხოლოდ სენაკის მაზრაში 40 ოჯახი გამოქცეული ბერძენი.

— ქუთაისში ჩამოვიდა თბილისიდან განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს თუ რამდენი ფული დასჭირდება ქ. ქ. ქუთაისს, ფოთს და სოხუმს გადამდებ სენთან საბრძოლველათ.

— რეალური სასწავლებლის მშობელთა წრემ დაადგინა, რადგანაც ხსენებულ სასწავლებელში ბევრი ღარიბი მოწაფეები იმყოფება დილ-დილაობით მოაწყონ მათთვის უფასო საუზმე.

დ. ყვირილა.

— სამშაბათს, 11 გიორგობისთვეს, ადგილობრივ საკრებულო დარბაზში გაიმართა სალიტერატურო საღამო. პირველ განყოფილებაში ქ. ოლიმპიადა ბაქრაძისამ წაიკითხა ლექცია „ქალთა უფლებრივი მდგომარეობა“. მეორე განყოფილებაში წარმოადგინეს „დედის ერთა“, რომელმაც ჩინებულად ჩაიარა. მესამე განყოფილებაში თავიანთი ნაწერები წაიკითხეს ქუთაისიდან მოწვეულმა პოეტმა გ. ტაბიძემ და თბილისიდან—გ. ქუჩიშვილმა. საღამო[illegible] საერთოდ კარგი შთაბეჭდილება მო[illegible]დინა, მრავლად დამსწრე საზოგა[illegible]ბაზე და საღამოში ყველა მონაწ[illegible] უხვი ტაშით დააჯილდოვეს. მ[illegible] ყვავილებითა და თაიგულებით [illegible]ნენ.

სოხუ[illegible]

— სოხუმის ქალაქის გამგეობა მქ[illegible]ისის გუბერნატორს დასამტკიცებ[illegible] წარუდგინა სოხუმის ქალაქის საბ[illegible] დადგენილება რათა სოხუმის საც[illegible] სადგურისათვის გადადებული [illegible] ქალაქის მამული ზომით 20 დე[illegible]ნა, ისეთი მცენარეების მოსაშენებ[illegible] რომელიც წამლეულების დასამზად[illegible]ლად გამოდგება.

ფოთი.

— ქ. ფოთის ქალაქის თვითმართველობამ ქუთაისის გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა ქალაქის საბჭოს დადგენილება შესახებ იმისა რომ ქალაქს მისცენ 25,000 სარგებლიანი სესხი ქალაქისათვის პირველი უსაჭიროესი სანოვაგის საყიდლათ, ეს ფული ხაზინას დაუბრუნდება. ომის გათავების შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში.

— ქუთაისში ამ ბოლო დროს მეტად აცივდა. მაღლობი ადგილები უკვე ჩამოთოვა:

240

არჩევნების გარშემო

ჩვენი კამათის მიზანი ისაა რომ სრული სიცხადით გამოირკვეს საგანი, რომელიც ქართულ აზროვნებას იპყრობს და აღელვებს. მზად ვართ ჩვენი შეცდომა ვაღიაროთ, დავუტევოთ დაჭერილი პოზიცია, უკეთუ დავინახეთ მოპირდაპირის პოზიციის სისწორე და უცოდველობა; გვგონია რომ ჩვენებური კამათი საზოგადოდ ამ მიზანს არ ემსახურება საჭიროდ ვრაცხთ, ვიდრე საკამათო კილოს დავიჭერდეთ მოპირდაპირეს ვსთხოვოთ თვისი მთავარი ყურადღება და კრიტიკა მიაქციოს იმას, რაც ჩვენი წერილის თუ მსჯელობის დედა-ცენტრია და რაც იმ ძირითად დებულებას წარმოადგენს, საიდანაც გამომდინარეობს სხვა თეორიული დასკვნანი და მოქმედების პრაქტიკული ღონისძიებანი. თუ ძირითადი დებულების უსაფუძვლობა დამტკიცდა, მაშინ თავისთავად მთელი შენობა დაირღვევა და დასკვნებს არავითარი ფასი აღარ შერჩება. მოვითხოვთ კიდევ, კამათის ეთიკისა და მართებულობის გულისათვის ნულარ მოგვაწერება რაც არ დაგვიწერია, ნულარ გვათქმევინებენ, რაც ჩვენგან არ თქმულა. წინააღმდეგი წესი მოპირდაპირის პოზიციისა და აზროვნების სისუსტის მაჩვენებელია. ეს თავის მკითხველის წინაშე დემაგოგიის გაწევა იქნება, რაიცა ერთობ მდაბიო ღირსების დამარწმუნებელ (!) საბუთად უნდა ჩაითვალოს.

როდესაც თბილისის არჩევნებს შევეხეთ, პირველ ყოვლისა იმ ცდაში ვიყავით რომ მკითხველს დაენახა რომ თბილისის არჩევნებში ქართველი ამომრჩევლისათვის უწინარეს ყოვლისა ეროვნული მომენტი არსებობდა, რომ იგი მომენტი შექმნილიყო თვით თბილისის ფაქტიურ ვითარებით. აზრის საილუსტრაციოდ ორი ქალაქი, თბილისი და ქუთაისი, ერთმანეთს დავადარეთ. ვამბობდით რომ ქუთაისის საქალაქო არჩევნებში ქართველი კაცისათვის ეროვნული მომენტი არ არსებობდა, რომ ქალაქის ფაქტიური ვითარება ამის ნიადაგს არ იძლეოდა და რომ სიბრიყვე იქნებოდა ქუთაისის არჩევნებში ეროვნული პოლიტიკის წარმოება ვისმეს განეზრახა. მოკლეთ, ამ ორ ქალაქის დაპირისპირებას უნდა დაედასტურებინა პირველი და ძირითადი დებულება: რომ თბილისის არჩევნებში არსებობდა ეროვნული მომენტი. ამ დებულებისა დ მოყვანილ ორი მაგალითის ძალით არ შეგვეძლო გვეთქვა ამიტომ ქუთაისის ქალაქის თვითმართველობა კარგია დ თბილისისა ცუდიო. ასეთი ლოღიკური „non-sens“-ი ნულარ მოგვეწერება ღვთის გულისათვის. იგი არ გვითქვამს; მას ვერ იტყოდა ამ ჩვენი პლანეტის ლოღიკით გაწრთვნილი გონება. ამიტომაც ვსთხოვთ, „თან. აზრის“ რედაქციას მოხსნას გაზეთის 207 ნომრის მეთაურის შემდეგი წინადადება: „ტყუილია, თითქოს თბილისის თვითმართველობა იმისთვის იყოს ცუდი რომ იქ სომხები ბატონობენ. ქუთაისში, ბათომში დ სხვაგან ქალაქის თვითმართველობა სავსებით ქართველების ხელშია, მაგრამ რით არიან ისინი უკეთესი თბილისისაზეო“?

ჩვენ განსხვავება დავინახეთ ეროვნული მომენტის მხრივ ქუთაისისა და თბილისის არჩევნებში და ამის თანახმად მოვითხოვდით ბრძოლის სხვა და სხვა ტიპს. ერთს შემთხვევაში პარტიულ დარაზმვას, მეორე შემთხვევაში ეროვნულ დარაზმვას.

ჩვენი ძირითადი დებულება დაურღვეველი დარჩა, და რომ კამათს შემდეგში მაინც რაიმე აზრი მიეცეს, ვსთხოვთ „თან. აზრის“ რედაქციას სწორედ ამაზე გვიპასუხოს, არის თუ თუ არა, ფაქტიური სინამდვილის მხრივ. ისეთი სხვა და სხვაობა ამ ორ ქალაქ შორის, რომ ერთის საქალაქო არჩევნებში ეროვნული დარაზმვის წამოყენება ლოზუნგად პირდაპირ შეუძლებელი იყოს, სრული უაზრობა და სასაცილო, ხოლო მეორის საქალაქო არჩევნებში კი პირ-იქით ამას ჰქონდეს თავისი უტყუარი რეალი ნიადაგი და თავისი დაურღვეველი საბუთი. თუ ასეთი რამ არ არსებობს, მაშინ ჩვენი დებულებიდან გამომდინარე დასკვნანი და პრაქტიკული ღონისძიებანი თავისთავად ჰქრებიან. მაგათზე ლაპარაკიც მეტია მაშინ, საკამათოდ დაგვრჩება თვით განსხვავების სინამდვილე და ეროვნული მომენტის დანახვება თბილისის არჩევნებში. თუ დასმულ საკითხზე დადებითი პასუხი იქნება, მაშინ საშუალების სხვა და სხვაობა ქუთაისისა და თბილისის არჩევნებში თავის თავად აშკარა ხდება და ჩვენც ამას ვამბობდით, როცა ვწერდით:

„ქუთაისში მიმართულებები ირაზმება და ერთი მეორეს ებრძვის, რომ თავ-თავისი კანდიდატი გაიყვანოს. აქ ხდება ბრძოლა ჯგუფთა შორის, დოკტრინათა დაპირისპირება, იდეათა შეტაკება...

ბრძოლა, რომელიც აცხოველებს და განამდიდრებს ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას, თუ იგი ბრძოლა გონიერების საზღვრებში შეკავდა. ასეთი ბრძოლა და წესი ბუნებრივია გონიერ ადამიანის თვალში; იგი კრიტიკის გარეშე სდგას, როგორც უტყუარი საწინდარი ეროვნული კულტურის წინსვლისა...

თბილისის ცხოვრების ფაქტიური ვითარება გვიკარნახებს შეერთებას, ეროვნულ თვალსაზრისზე შედგომას, ერთი ეროვნული ბლოკის შეკვრას. წარსულ არჩევნებში ასე არ ყოფილა, და ამიტომაც დავრჩით საკუთარ სახლში უცნობნი და განდევნილნი. თავისუფალი აზროვნება, საღი ეროვნული ინსტიქტის დახმარებით, გვეტყვის რომ, თუ ქუთაისის არჩევნებში ეროვნული საკითხის წამოყენება კლასიკური სიბრიყვე იქნებოდა, თბილისის არჩევნებში—პირიქით, ეროვნული პოზიციის დაჭერა, ეროვნული ბლოკის შეკვრა—უმაღლესი კეთილგონიერების განუსაჩივრებელი ბრძანებაა. (იხ. „საქართველო“ № 136).

რადგანაც თბილისის არჩევნებში ცხოვრებამ ეროვნული მომენტი შეიტანა, გვეგონა და გვგონია, რომ ეროვნულ საკითხის დაცვა ერთნაირად ევალებოდა ყველა მიმართულებისა და რწმენის ქართველს. ამის არ გაგება დღეს მაინც, ნამდვილი ღვთის წყრომა იქნებოდა! ამიტომაც წინა წერილებში ის აზრი გავატარეთ, რომ აუცილებელი იყო ქართველი ამომრჩევლების შეერთება, ეროვნული ბლოკის შეკვრა, მთელი ქართველების ერთად გამოსვლა. თუ ეროვნული მომენტი (თუ-ს „თანამ. აზრის“ რედაქციისთვის ვამბობთ) თბილისის არჩევნებში იარსებებს, მაშინ ვსთხოვთ „თანამ. აზრის“ რედაქციას დაგვანახვოს, რომ ჩვენი ღონისძიება და ბრძოლის მეთოდი შემცდარია, ან მავნებელი, რომ პირიქით ნამდვილია და სარგო მისი მოწოდება, რომ ერთი ქართველი ალთას ეწეოდეს, მეორე ბალთას, რომ სოციალდემოკრატებმა სოციალისტ-ფედერალისტები არ გაიკარონ, და ორივე-კი—ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების ხალხმა. დაგვანახოს ამ გზის უპირატესობა და „აზრის“ დაკმაყოფილება ადვილად შეგვეძლება. ღვთის მადლით გათიშულები და დაშორებულები ისედაც ძალიან ვართ და ამ გათიშულობის დასაცავად ერთი მისხალი ახალი ენერგია არ დაგვჭირდება!!!

ჩვენ ვწერდით:

„დღევანდელი ქალაქის გამგეობა და ხმოსანთა მთელი შემადგენლობა, ყოველგვარ საყვედურისა და კრიტიკის გარეშეც რომ იდგეს მკვიდრთა წინაშე თავ-თავის მოვალეობის აღსრულების მხრივ, **მაშინაც** არ შეგვეძლება არ გავილაშქროთ მისი **დღევანდელი სახის** წინააღმდეგ.. ..

უჩვენოდ, გარეშე ქართველი ელემენტის სათანადო პროცენტისა, გარეშე, ქართველი საზოგადოების, პროცენტის მხრივ, სათანადო თვითმოქმედებითი მონაწილეობისა ქალაქის თვითმართველობაში, ანგელოზებიც რომ ისხდნენ თვითმართველობის ჭერ ქვეშ, ყოვლად შეუძლებელი და პრინციპიულად მიუღებელი იქნება რაიმენაირი შემადგენლობა თვითმართველობისა.

ავია თუ კარგია საქმიანობა ქალაქ თბილისის თვითმართველობისა, ანგელოსურია თუ ბელზებელური მისი შემადგენლობა, ერთი რამ აუცილებელია ქართველისათვის, სახელდობრ ისა, რომ, თავისი ხორცი ხორცთაგან, და სისხლი-სისალთაგანი, მას უთუოდ იმდენი უნდა ყვანდეს ქალაქის თვითმართველობაში, რამდენიც ეს შეჰფერის, დღევანდელს პირობებში ქალაქის მკვიდრ ქართველობას. თვითმართველობის **ავშიაც და კარგშიაც** ქართველს პროცენტულად შესაფერისი წვლილი უნდა ედოს. ეს არის პირველი პლატფორმა შეყაბულებისა და თანამშრომლობისა, პირველი პირობა ქალაქის მართველობის ავ-კარგის ზნეობრივი განაწილებისა. ყოველ მიზეზის გარეშე უნდა იყოს უზრუნველყოფილი ჩვენი ეროვნული წილი თვითმოქმედებისა ქალაქის მოვლა-პატრონობის საქმეში. (იხ. „საქართველო“ № 134)

და დღესაც ვიმეორებთ აშკარად და გარკვევით: დემოკრატიულიც რომ იყოს დღევანდელი თვითმართველობა, ულტრადემოკრატიული რომ იქნეს მის ხვალინდელი სახე, თბილისის ქალაქის თვითმართველობასთან ზავს ვერ ჩამოვაგდებთ, თუ ქართული დემოკრატიული ელემენტის სათანადო სიმრავლე იქ არ შევიდა. ხოლო რადგანაც დღევანდელი თვითმართველობაც და ხვალინდელიც ნარევი იქნება შემადგენლობის მხრივ, ბურჟუაზიულიც დ დემოკრატიულიც,—ჩვენ მოვითხოვთ და იმისთვის ვიბრძვით რომ ქართველი ერი en masse, თავის ბურჟუაზიულ და დემოკრატიულ ელემენტის მხრივ სათანადო პროცენტით შევიდეს თავის დედა-ქალაქის თვითმართველობაში. რადგან სხვისი ერის არც ბურჟუაზიის და არც დემოკრატიის ბატონობა საქართველოს მთავარ ქალაქში **არავითარი გარანტია არ არის** ჩვენი ეროვნული კრებულის— ბურჟუაზია + დემოკრატია — (დიფერენციაციის ნიუანსებს არ გამოვუდგებით) ბატონობისა. სხვისი ბატონობა კი არავის უნდა, არ გვინდა სხვისი ხელქვეითი და საწყალობელი ვიყოთ. „თანამ. აზრის“ რედაქციას ეს არ მოსწონს. ზოოლოგიურ ინსტიქტებს გვიკიჟინებს. ზოოლოგია და პსიხოლოგია საკითხის გამორკვევას ვერ გვშველის. ისინი განზე გადავდოთ; თუ საჭიროება მოიტანს ამაებზე მერე ვილაპარაკოთ. დღეს კი ეს გვიბრძანეთ: თქვენთვის სულ ერთია, თუ ვინ იქნება გამეფებული თბილისის თვითმართველობაში? დაყაბულდებით რომ ქართულ დემოკრატიულ ელემენტის ხარჯზე, ვსთქვათ სომხის დემოკრატიულმა წარმომადგენლებმა დაიჭირონ თვითმართველობის ყველა სავარძელი და თუ არ დაყაბულდით ნეტავი რომელი პრინციპისა და რა საზომის სახელით?

სასურველია, რომ ამ საკითხზე მოკლე და გადაჭრილი პასუხი მოგვეცეს. ქართველმა საზოგადოებამ და მთელმა ერმა უნდა იცოდეს ვინ რას ფიქრობს ასეთ დიდ პრაქტიკულ და საჭიროვარამო საკითხის შესახებ. როდესაც ყველა მიმართულების შეხედულება აშკარად და მკაფიოდ იქნება გამოთქმული, თავის სავალ გზას ერი თვით აირჩევს.

მეტეხის ციხე

მტკვარი ტალღას სცემს, მტკვარი შრიალებს,
მტკვარი ქაფს ისვრის, კლდეს ესხურება,
ზვირთის ფაფარზე ზვირთს ათამაშებს,
მიდის ქვევითკენ, მიეშურება.

——

მიეშურება, თანაც ღიღინებს,
და ეს სიმღერა მთის სიმღერაა,
ტალღათ ტყლაშუნი ბარათ რო ისმის
მთებში დაკრული ჩანგის ჟღერაა.

——

იმღერე, მტკვარო, მთვარე დაგხარის,
მეტეხის კუბოც გისმენს სიმღერას,
იმღერე, მტკვარო, მეტეხის კონცხთან,
უფრო უმატე შენს ჰოროველას.

——

ასე მეურმე ღიღინებს ხოლმე,
გაჭიმულია წინ დიდი შარა,
გზის ნაპირზე კი სთვლემავს საფლავი,
ტიალ მინდორზე ვიღაც მომკვდარა.

——

იმღერე, მტკვარო, მხოლოდ სიზმარში
ჩვენცა ვცოცხლდებით, სული დაფრინავს;
აღარ ჟღარუნებს რკინის ბორკილი,
მას ჩვენ მკლავებზე მშვიდათ სძინავს.

——

თვითონ დემონი აქ ყოველ ღამე
მოდის, სიმღერით მოეშურება,
ხარხარებს, თითქოს მეხი მეხს მოხვდა,
ხან-კი ხმა ტკბილად გვეჩურჩულება.

——

იმღერე, მტკვარო, მოვა ჯალათი
და შენს ნაპირზე დაიბანს ხელებს,
იმღერე, მტკვარო, თუ ტალღა შედგა,
ჩვენი მეტეხი სისხლს მოგაშველებს.

——

შენს ტკბილს საუბარს ვიცი ყურს უგდებს,
ოქროს აკვანში გაზრდილი შვილი.
დაუკარ მისთვის დაიღიღინე,
მორთე ვარდებით მის შვება ძილი.

——

დაუკარ მისთვის, დაიღიღინე,
ისიც აგყვება, ისიც მოგცემს ბანს
და ვით პილატე ჯალათის გვერდზე,
ისიც გულგრილად ხელს გადაიბანს.

——

მტკვარო შრიალავ, შენსა კიდეზე
რაინდი სატრფოს მოელოდება;
რა ხელს გადაჰხვევს გულში ჩაიკრავს
ისიც შენსავით აღიღინდება!

——

ბედნიერთ ჩანგო, დაუკარ ტკბილად,
შენი სიმღერა მათ გაახარებს,
იქ, მეტეხში კი ცასთან გამწყრალი
დემონი მქუშად გადიხარხარებს.

ირ. ევდოშვილი.

1910 წ. მეტეხის ციხე.

რედაქტორები სასახლეში

ხუთშაბათს საღამოს მეფის ნაცვლის კანცელარიის დირექტორმა ბ-ნ ისტომინმა მოიხმო თვისთან, მეფის ნაცვლის კანცელარიაში, ტფილისში არსებულ გაზეთების რედაქტორები სათითაოდ. თათბირის წინ ბ-მა ისტომინმა რედაქტორებს სიტყვით მიმართა და აუხსნა რომ ეს თათბირი მეფის ნაცვლის დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ინიციატივით არის გამართული. მიუთითა რა საერთოდ პრესის ფრიად დიდ მნიშვნელობაზე ბ-ნმა ისტომინმა განუცხადა რედაქტორებს რომ მეფის ნაცვალი ელის თბილისის პრესისაგან დახმარებას და იმედოვნებს, რომ პრესის წარმომადგენელთა მოღვაწეობა თვალნათლივი და გულღია იქნება. მეფის ნაცვლის კანცელარიის დირექტორმა თვის სიტყვაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას რომ საჭიროა მშვიდობიანი განწყობილება კავკასიის ყველა ეროვნებათა შორის. ამიერიდან ყველა შუღლი, სთქვა მან, უნდა მოისპოს ვინაიდან კავკასიის უმაღლესი მთავრობა ერთნაირად კეთილგანწყობილია ყველა ეროვნებათა მიმართ. ბ-ნ ისტომინს პასუხი გასცა ზოგიერთ რედაქტორმა და აუხსნეს ზოგიერთი ხელთ შემშლელი, ამ სამოღვაწოთ, გარემოებანი. მაგრამ რადგანაც ადგილობრივ პრესის წარმომადგენელთ არა აქვთ მტკიცე კავშირი და თვით თათბირიც მოულოდნელი იყო, ამიტომ შესაფერ მასალის მიწოდება პრესის მდგომარეობის დასახასიათებლად ვერ მოხერხდა ამ თათბირზე.

ქართ. საქ. საზ. მთავარ გამგეობაში

შემოვიდა 10 ღვინობისთვიდან 10 გიორგობისთვემდე:

არტისტიულ საზოგადოებისაგან აჭარლებისათვის 100 მან., ბავშვებისაგან 20 მან. 2 კ.; გაზეთ „ძმური სიტყვის“ ალ. მდივანისაგან 117 მ. 1 კ.; გაზ. „ძმ. სიტ.“ ბაქოდან მ. ფ. კალანდარაშვილისაგან 188 მ. 70 კ.; წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის სხვა და სხვა პირთა შემოწირულება „თანამედროვე აზრის“ რედ. 64 მან. 48 კ.; აჭარლებისათვის „თან. აზრ.“ რედაქ. (სხვა და სხვა პირ.) 31 მან.; ელისაბედ მჭედლოვისაგან საზ. გამ. სტუდენტთათვის 3 მან.; ეპ. კირიონისაგან დროებითი მოწმობა 1915 წლ. 5 პროც. შინაგ. სესხის ობლიგაციისა 3 ცალი ასას მან. ღირებული 300 მან.; პეტრე გელეიშვილისაგან 1 მან.; ივ მიქაძისაგან 2 მან.; სპირიდონ ბაქრაძისაგან 1 მან.; „სახალხო ფურც.“ რედაქ. საშუალებით თავ. დ. ერისთავისაგან (ოზურგეთი) და ნ. ესვანიასაგან (სოხუმი) გაზეთ „ძმური სიტყვის“ 30 მ. 69 კ.; თავად ციციშვილის კანტორისაგან ივ. ნატროშვილის ხსოვნისათვის გვირგ. ნაცვლად 50 მან.; პავლე საყვარელიძისაგან ს. ფირცხალავას ლექციის და ჯანაშვილის წიგნის გაყიდვის შემოსავალი 42 მან. 50 კ.; ქალაქთა კავშირისაგან ობლებისათვის ბათ. ოლქ. მცხოვ. 400 მან.; თბილისის თავ. აზნაურ. იმ ფულისაგან, რომელიც გადაეცა მას ქალთა საზოგადოებისაგან 500 მან.; იოსებ კრაწაშვილისაგან გაზ. „ძმ. სიტ.“ შემ. (სიღნაღი) 4 მ. 15 კ.; საწევრო ფული შემოვიდა საანგარიშო თვეში 104 მ.; „ბეჟენცების“ დასახმარებლად ნამესტნიკის კანცელარიიდან საზოგადოებამ მიიღო ავანსად 25,000 მან.

სულ 26,959 მან. 55 კ.

წერილები

ქუთაისი.

საკუთარი კორესპონდენტისაგან.

I

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება—ეს მთავარი ღერძია ქართველი ხალხის განათლებისა და გათვითცნობიერებისა. ეს ის საზოგადოებაა, რომელიც მივარდნილსა და მივიწყებულ სოფლებში აარსებს სკოლებსა და სამკითხველოებსა, რომ უსახსრო გლეხის შვილებმა წერა-კითხვა და საზოგადოებათა ვითარება შეიგნოს და შეისწავლოს.

სრული ჭეშმარიტებაა, რომ ამ საზოგადოების საშუალებით სოფლელმა გლეხობამ თვალი გამოახილა და ცოტათი თუ ბევრათ განათლების მნიშვნელობა შეიგნო.

დასავლეთ საქართველოში ამ საზოგადოებას დღემდის დაარსებული აქვს ორმოცამდე სამკითხველო და რამოდენიმე სკოლა და სამკითხველოების რიცხვი დღითი დღე იზრდება. არსდება ყველა სოფლებში და ზოგან ორიც.

საქმე მხოლოდ იმაშია რომ დასავლეთ საქართველოში მთელი შრომა დააწვა ქუთაისის განყოფილებას, როდესაც ეს განყოფილება უფლებით დანარჩენ პროვინციების განყოფილებებიდან არასფრით არ განსხვავდება. მას არა აქვს არავითარი უპირატესობა, სრულიად უმოქმედო განყოფილებასთან შედარებითაც კი. ეს ასე არ უნდა ხდებოდეს მას უნდა ჰქონდეს იგივე უფლება დასავლეთ საქართველოს განყოფილებებთან, რაც მთავარ გამგეობას დანარჩენ განყოფილებებთან. ამას მოითხოვს მისი შრომა, მისი ღვაწლი.

არც ერთი სამკითხველო რაჭაში, ლეჩხუმში, სამეგრელოში გურიაში, შორაპნის მაზრაში და სხვაგან არ გახსნილა, რომ ქუთაისის განყოფილებას შრომა და ხარჯი თავის თავზე არ ედოს. რათ უნდა მოხდეს ეს, როდესაც ამავე მაზრებში არსებობენ ასეთივე განყოფილებები წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა? და თუ ის განყოფილებები შრომას არ გასწევენ და [illegible] არ ემსახურებიან, ის[illegible] არსებობაც უმნიშვნელოა.

ამ რამოდენიმე დღის წინათ ქუთაისის განყოფილების გამგეობამ, საბიბლიოთეკო სექციის წინადადებისამებრ დაადგინა, 29 გიორგობისთვეს მოიწვიოს დასავლეთ საქართველოს ყველა განყოფილებების წარმომადგენელთა კრება, ასეთი კრება მართლაც საჭიროა და აუცილებელიც. უნდა ითათბირონ ერთმანეთთან დამოკიდებულებების შესახებ და აუცილებლად უნდა გამოირკვეს თუ ვინ რას აკეთებს, ვის რა შრომა მიუძღვის საზოგადოების წინაშე და რომელია ღირსი საზოგადოების ყურადღების მიქცევისა. ქუთაისის განყოფილების გამგეობამ მათ ანგარიშიც უნდა მოითხოვონ თუ რა გაუკეთებიათ და რას აკეთებენ ქართველთა ხალხის საკეთილდღეოდ.

ამ კრებამ უნდა გაანაწილოს სამკითხველოები რაიონებად, ყოველივე რაიონს თითო განყოფილება უნდა განაგებდეს, რომ უფრო ფართოდ გაეცნოს მათ მოქმედებას. ყოველივე ხარჯები სამკითხველოებისა იმ განყოფილებამ უნდა იკისროს რომელ რაიონსაც იგი ეკუთვნის. სამკითხველოებს ბევრი ხარჯები აქვს და ხარჯებს კი დაკმაყოფილება უნდა, თორემ ბევრი არის ისეთი სამკითხველოები, სადაც ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთები არ მოიპოვება აგრეთვე ზოგ სამკითხველოებში პარტიული ქინი არის შეტანილი და ერთი მიმართულების გაზეთს, რომ გამოიწერენ მეორე მიმართულებისას განზე გადადებენ, და ეს ხშირი მოვლენა. ამასაც უნდა ანგარიშის გაწევა. სამკითხველო ეს იგივე სკოლაა, სადაც ყოველივე მიმართულებისა და სარწმუნოების მოწაფეები შედიან. ყველა ჟურნალ-გაზეთები უნდა მოიპოვებოდეს განურჩევლად მიმართულებისა.

29 გიორგობისთვე, ეს ბედნიერი დღე იქნება თუ ყოველივე წესიერათ გაანაწილეს და ყველას თავისი მოვალეობა შეაგნებინეს. უამისოთ კი სამკითხველოებისა და სხვა ს ქმეები კარგათ ვერ წავა.

ქუთათური.

ქართული ზმნა

უდ. ლიოზენი—მასალები თანამედროვე ქართული ზმნის შესასწავლად. თბილისი 1911.

ფრანგულად გამოცემული წიგნი ქართული ზმნის შესახებ საყურადღებოა მარტო წინასიტყვაობით. ქართული ზმნა შესწავლილი არ არისო, ბრძანებს ბ. ლიოზენი, და ძალიან ძნელი შესასწავლიც არის, რადგან ჯერჯერობით არ არის დადგენილი არავითარი წესი მკვლევარის სახელმძღვანელოდ. ქართული ზმნა ხაოსს წარმოადგენს და ვინც შეუდგება მის შესწავლას, იძულებული იქნება ცალ-ცალკე შეისწავლოს ყოველი ზმნა და მრავალი მისი ფორმა. ფორმათა სიმრავლით ქართულ ზმნას ბადალი არ მოეპოვება არც ერთ ენაში და სწორედ ეს გარემოება აძნელებს ევროპიელთათვის იმის შესწავლას. არსებული გრამატიკის სახელმძღვანელოები ქართულის მცოდნეს ვერაფერს შესძენენ და ევროპიელს არავითარ პასუხს არ მისცემენ იმ კითხვებზედ, რომელნიც თანახლავან მეცნიერულ კვლევასაო.

ავტორს განუძრახავს ქართული ზმნის გრამატიკა კი არა, მარტო მასალა მიაწოდოს მსურველს, და თავის შრომას უცვლელად ამყარებს იმ ნიადაგზედ, რომელზედაც მისგან დაწუნებული სახელმძღვანელოები არის დამყარებული.

ეს ნიადაგი—ერთად ერთი მიზეზი ჩვენი ზმნის შეუსწავლელობისა—გახლავთ რუსულ და ევროპიულ ზმნის მიმოხვრის წესი, რომელსაც გვინდა ქართული ზმნის მიმოხვრაც დაუმორჩილოთ.

ევროპიულ დამატებიან ზმნასთან დამატება ცალკე ითქმის; ქართულში კი დამატება შიგ ზმნაშივე არის ჩართული. ამიტომ ევროპიულ ზმნის მიმოხვრას ქართულში მარტო ის ზმნა ემორჩილება, რომელიც დამატებას არ მოითხოვს, სახელდობრ ზმნა მდგომარეობითი: ვზივარ, ვრბივარ, ვლაღობ, ვმამაცობ.

მდგომარეობითი ზმნის მიმოხვრა იგივეა, რაც ევროპიულ ენებში:

ვზივარ, ზიხარ, ზის...

მდგომარეობით ზმნაში გამოთქმულია ორი ცნება: მოქმედება და მომქმედი პირი: ვრბივარ—იგულისხმება—მე, რბიხარ—იგულისხმება—შენ, და საუბარში იქნება, თუ წერაში, ნაცვალსახელის—მე, შენ, ის და სხ. ხმარება საჭირო არ არის.

სულ სხვაგვარია ბუნება მოქმედები-

თი ზმნისა, რადგან მას თანახლავს დამატება: გლოცავ—იგულისხმება—შენ, ვლოცავ—იმას, და ეს დამატება: შიგ ზმნაშივე არის ყოველთვის მოქცეული. მაშასადამე მოქმედებითმა ზმნამ ორი ცნების გარდა უნდა გამოთქვას აგრეთვე მესამეც, ესე იგი მოქმედება, მომქმედი პირი და დამატება. ქართულში რომ ევროპიულისამებრ დამატება ცალკე სიტყვად ითქმოდეს, ჩვენი ზმნაც სრულიად დაკმაყოფილდებოდა ევროპიულ მიმოხვრით და ჩვენც ასე ვილაპარაკებდით:

მე ხატავ—შენ, ან იმას,
შენ ხატავ—მე, ან იმას,
ის ხატავს—მე, შენ, ან იმას.

ჩვენი ზმნა კი სამ ცნებას—მე ხატავ შენ—ერთი სიტყვით გამოსთქვამს—გხატავ—და ამიტომ წარმოადგენს იმისთანა თავისებურ ფორმებს, რომელიც ევროპიელისთვის გაუგებარი უნდა იყოს და, ჩვენდა სამწუხაროდ, ევროპიულ გრამატიკაზედ აღზრდილ ქართველთათვისაც გაუგებარი რჩება. ქართულ ზმნას ევროპიულ მიმოხვრის სამი ფორმის გარდა (ვხატავ, ჰხატავ, ჰხატავს) აქვს კიდევ ფორმები: გხატავ, მხატავ, მხატავს, გხატავს.

(შემდეგი იქნება)

ივ. მაჰავარიანი.

გერმანელთა ცეპელინი სოფიაში

კორესპონდენტები გერმანულ გაზეთებისა სოფიაში—დეპეშებში ვრცლად აწერენ „შემაძრწუნებელ" სურათს მეკლენბურგის ჰერცოგის მოსვლისას ფერდინანდის სამეფეო ქალაქში.

ეს არის პირველი ცეპელინი ბალკანეთზე,—ამბობს „Berliner Tageblati". იგი ახალი მოციქულია ბალკანეთზე და რა მოუტანა ბალკანეთს?—ია-ვარდები, თუ სიკვდილის ხელწერილი!—ეს მომავლის განთიადზე იქნება წაკითხული, იმ განთიადზე, როდესაც დასრულდება ტრაღედია ბედისა, რომლის თვითეული მოქმედება ასე გრძელდება და რომელშიაც ამდენი მსახიობნი იღებენ მონაწილეობას. ჰაერში მედგრად მფრინავ გერმანელთა არწივის დასახვედრად, სოფიის ჰაეროდრომზე შეგროვდა ბულგარეთის ბრბო, ბრბო ბულგარელთა მინისტრებისა რადოსლავოვის მეთაურობით, ოფიცერთა და ხალხის წარმომადგენელთა.

აქვე იყვნენ გერმანეთის ელჩი, წევრნი გერმანეთის სამხედრო მისიისა და დესპანნი ოსმალთა და ავსტრო-ჰუნგრეთისა. სწრაფად მოვიდა ავტომობილით თვით ფერდინანდი და მისი ჰოფმარშალი გენ. სავოვი.

ცეპელინი გამოჩნდა სოფიასთან 300 მეტრის სიმაღლეზედ მორთული გერმან-ბულგარელთა ბაირაღებით. ბაირაღთა წითელი ფერი, რომელიც ელვარებდა ცაზე, ალბად ითხოვს ამავე ფერს მიწაზე, ფერს არა წითელი ვარდისას, არამედ წითელის სისხლისას... ხოლო მისი შრიალი, ალბად მიემსგავსება იმ სულთა ფრთათა რხევას, რომელნიც განაშორა მიწას რკინამ, თვისითვე შექმნილმა მახვილმა, სულის და ხორცის ქორწინებას აშორებს—მჭრელი ფოლადი და ცეცხლი—მოციქული მოპირდაპირეთა...

ჰაერის ნავიდან პირველი გადმოვიდა ჰერცოგი მეკლენბურგისა, მას გადმოჰყა ხელმძღვანელი ცეპელინისა.

ფერდინანდი ეამბორა ჰერცოგს და განუცხადა, რომ ეს წამები სამარადისო სახსოვრად დარჩება მის ცხოვრებაში.

შემდეგ ამისა ფერდინანდი და მისი თანამხლებელნი გაემართნენ ჰაერის ნავებისაკენ. რადოსლავოვი ღიმილით ამბობს: მე ფრიად ბედნიერი ვარ, რომ ფეხი დავსდგი გერმანეთის ტერიტორიაზედ, იმ განდევნის წუთების შემდეგ, რომელნიც განვიცადე სამშობლოდან განშორებულმა. ხოლო ფერდინანდი დიდხანს უსმენდა ცეპელინის ხელმძღვანელს, თუ როგორ არის შეიარაღებული ეს მრისხანე არწივი—მთესი დამღუპველ ცეცხლისა.

„ზ. ვ."

პროვინციის ქრონიკა

არმავირი.

პოლიციამ შეიპყრო გამოჩენილი აფერისტი, საბერძნეთის ქვეშევრდომი ნიკოლოზ კოსიდი, რომელსაც სადგურ გიაპინსკზე ფარული პურის საწყობი ჰქონდა მოწყობილი.

ბ ა ქ ო.

ცნობილ დღესასწაულ მოხარემობაზე ადგილობრივ მეჩეთებში მაჰმადიანები შემოწირულებას აგროვებდნენ ომიანობისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა სასარგებლოდ. აჯი-იმამ-ალის მეჩეთში შეკრიბეს 155 მანეთი, აჯი-ბაბისაში 203 მან., აჯი პირუთისაში 146 მან. ჩამოვიდა სახელმწიფო სათათბიროს წევრი პაპაჯანოვი.

ყაჩაღობა ბაქოს გუბერნიაში.

სოფ. არვნის, (ლენკორანის მაზრა) მცხოვრებთ ბაქოს გუბერნატორს დეპეშით აცნობეს, რომ მათ სოფელს თავს დაეცა 400 შეიარაღებული სპარსეთის საზღვრებიდან გამოსული ყაჩაღი და მოელი სოფელი დაარბია.

ასეთივე ცნობა მოვიდა სოფ. გილედარიდან, რიცხვით 80 ყაჩაღი დასცემია სოფელს და მცხოვრებნი გაუძარცვავს.

დ. სურამი.

ამ დღეებში აქაურ ვაჭარს ი. დავარაშვილს პოლიციამ რამდენიმე ვედრა სპირტი უპოვა. ხსენებული ვაჭარი სპირტს რუსეთისკენ ჰგზავნიდა. მთავრობამ ი. დავარაშვილს სპირტი ჩამოართვა და პასუხისგებაში მისცა.

სოფ. გორის-ფერდი (ქუთ. მაზრა)

ს. გორის ფერდის მცხოვრებთ მოუვიდათ კოოპერატივის გახსნის ნებართვა. ხალხი დიდის სიხარულით ელის ამ სასარგებლო დაწესებულების გახსნის დღეს.

ს. ქვემო საქარა (ქუთ. მაზ.)

ადგილობრივ ინტელიგენციის თაოსნობით აქ დაარსდა წიგნთსაცავ-სამკითხველო. სამკითხველოს საქმე სასურველად მიდის. მხოლოდ ჯერჯერობით ყველა ქართული გაზეთები არ მოუდის, რასაც იმედია გამოუწერენ სამკითხველოს სოფლის კეთილდღეობის გულშემატკივარნი.

ოზურგეთი

ამ ახლო ხანში აპირებენ ოზურგეთში გამართონ გურიის კოოპერატივთა წარმომადგენლების თათბირი.

ა ჭ ა რ ა

ბათომ-ახალციხის გზაზე მეეტლედ ყოფილა ვინმე ჩერნოვი. ჩერნოვი მეტად თავგასულია; იგი თურმე უცოდინარ აჭარელებს მიმოსვლის ფასს ერთი ორად ახდევინებს, მხოლოდ კვიტანციაზე კი იმ ფასს უწერს, რაც მთავრობის მიერ არის დაწესებული. აჭარელები დიდათ შევიწროებული არიან ამ თავგასულ მეეტლისგან. ან სად შეუძლიანთ მას ყოველთვის ორჯერ მეტი ფასი აძლიონ მიმოსვლაში. საჭიროა მთავრობამ საჩქაროდ ყურადღება მიაქციოს ბ. ჩერნოვის მოქმედებას და იგი დროზე ალაგმოს.

სოფ. ჟინვალი (არაგვის ხეობა)

არაგვის პირას იპოვეს გვამი ჯარისკაცის მეუღლის მართა უძილაურისა. მას ძალადობის ნიშნები აღმოაჩნდა, ჰფიქრობენ, რომ ქალი მის საყვარელს გიორგი ჭიჭკინაშვილს მოუკლავს.

სოფ. რუის პირი (კახეთი)

თავის დუქნის წინ უცნობებმა თოფით მოჰკლეს ადგილობრივი მოვაჭრე ივანე აბრამაშვილი.

დ. ჩოხატაური.

ჩოხატაურის ბოქაული ი. კახაძე გადაიყვანეს ამავე თანამდებობაზე დ. ლანჩხუთში, მის ადგილას დაინიშნა ცხადაძე.

კავკავი.

აქეთ შეშა აღარ იშოვება, დღითიდღე ძვირდება აგრეთვე პირველ საჭიროების საგნები: კარტოფილი, რომელიც წინად ღირდა 40 კაპ. ფუთი ეხლა ღირს 1 მან. 20 კაპ. კომბოსტო 80—140 კაპ. ფუთი. ოსური ყველი ღირებული 6 მან. ეხლა ძნელად, რომ 14 მან. იშოვოთ. ამინდები კავკავისკენ მეტად უვარგისია, გადაუღებლივ წვიმს და ჰქრის ცივი ქარი.

დახმარება გამოქცეულთ.

ნახიჩევანი (ერევ. გუბ.). აქ შენობას აგებენ გამოქცეულთა ობოლ ბავშთათვის.

— სოფ. ავთუნში გამოქცეულთათვის ხსნიან საავადმყოფოს, რომელსაც ასამდე მუდმივი საწოლი ექნება.

თეატრი და ხელოვნება

ქართ. დრამ. საზოგადოებამ სეზონის გახსნაში ტრადიციას უღალატა. „ღალატის" მაგიერად შალიკაშვილის პიესა „გადაჭრილი მუხა" გაბედნიერა.

პიესის ამორჩევა, რა თქმა უნდა, გემოვნების საკითხია. თუ ხსენებული საზოგადოება იმითვე ხელმძღვანელობს, როგორც ეს გაგვიცხადეს ამას წინად „აზრის" ფურცლებზე სახალხო წარმოდგენის წრის მმართველებმა, მაშინ ჩვენს უკმაყოფილებას საზღვარი არ ექნება. რაც უნდა იყოს „ღალატი" მაინცა და მაინც ხელწამოსაკრავი ნაწარმოები არ გახლავთ, რომ ასე ტრაფარეტული ფრაზებით გავიბურთავოთ.

რაც შეეხება ბ-ნ შალიკაშვილის პიესას, მას ჩვენი საზოგადოება საკმაოდ იცნობს. ეს, თუ გნებავთ, სცენების ზედახორა პიესა გახლავთ. ავტორი ბევრ პრობლემის გარდაწყვეტას ისახავს მიზნად, თანამედროვე მეცნიერების ბანკროტობას, ზნე-ჩვეულებათა თუ სოციალურ საკითხთა გადაჭრას ლამობს, მაგრამ აშკარად ჰხედავთ, რომ ავტორს ამისთვის საკმაო ძალღონე არ შესწევს. შესაძლებელია, ამას თვითონაც კარგად ჰგრძნობს. სისუსტის დასაფარავად იგი სცდილობს საკითხებს ცოცხალი და ცქრიალა სახე მისცეს, თვითონ-კი განზე დადგეს და მოაზრისა და დაკვირვებულ ადამიანის პოზა დაიკავოს.

სამი გმირი უბრუნდება სამშობლოს თ-დი ნიკო, გოლა და ცაცა, (იმედაშვილი, იმხნელი და მგალობლიშვილი), სამთავეს დიდი ხალისი ჰქონიათ სამშობლოს გაბედნიერებისა, მაგრამ ცხოვრებაში სამთავე მარცხდებიან და ამიტომ სხვა და სხვა გზით გასწევენ. თ-დი ნიკო მამულის მოვლას სცდილობს. გოლა უინიციატივო ადამიანია, ფანტაზიორი, თუ გნებავთ, ნარცხი მოქმედი ადამიანისა; ხოლო ცაცას ალღო გადაარჩენს და გუბერნატორის კანცელიარიაში თბილ ადგილზე მოაკალათებინებს. ნიკო სოფელში ჩამოსვლისას რომანტიულ გატაცების მსხვერპლი გახდება. შეირთავს სოფლელ გოგოს, ნინოს, (ქ-ნ ნ. დავითაშვილი), მაგრამ ბედნიერება სათავეშივე იმხამება: მის სტუმრებში ურევია გველი, კატო, ეს მშვენიერების თაიგული, რომელიც გახრწნილების სურნელოვანებით აჯადოვებს და გაიტაცებს თავადს, რაიც საბოლოოდ კატასტროფით თავდება და გამოფიტულს უკან გამოისტუმრებს და მის ადგილას ახლა ცაცას ჩააყენებს.

ასეთი ტემა არ ახალია, ძველი. ამ მხრივ კი არ გვაინტერესებს პიესა, არამედ თვისი სტრუქტურით, განვითარებით. ამ მხრივ პიესა კარდონის ხუხულას ჰგავს. უთავბოლო დიალოგები, სცენების უსწორ-მასწორო ჩაწმახნება და დაუსრულებელი რეზონიორობა,—აი ამ პიესის დიდი ღირსება. ავტორი საშუალებას არა ჰზოგავს სქელ და ვულგარ საშუალებათა მოსახმარებლად. ეს გახლავთ მისი იუმორის მთავარი ღირსება. გააცინე ხალხი და საშუალებას ნუ მოერიდები, რაც შეიძლება მეტი ჰუჰყით მოახდინე ეფექტი და გამარჯვებულიც იქნები. ბევრი მწვავე სინამდვილე ქვეყნდება პიესიდან, მაგრამ გამოქვეყნება როდი კმარა, მას ხელოვნურ გადმოცემის უნარი სჭირია, რაიც ასე რიგად აკლია ბ-ნ შალიკაშვილს. საქმე ის არის, რომ სიმწვავე სინამდვილისა მხოლოდ პესიმისტურ მხარეს ეხება, თავიდან ბოლომდე კნინებას ვხედავთ, არც ერთს დადებით ტიპს, არც ერთს გამამხნევებელ სურათებს არ იცით, რა უფრო აინტერესებდა ავტორს, ოჯახის საკითხის გადაწყვეტა, როგორც სოციალ მოვლენისა, თუ ქართულ ეროვნების ასეთი კნინება, რასაც მეეზოვის „ჩიკა-ჩიკა" აგვირგვინებს.

მიუხედავად ამისა, ჩვენს საზოგადოებას იგი მოსწონს, მაგრამ ავტორმა უნდა უწყოდეს, რომ ასეთი გამარჯვება დროებითია, მის პიესას არავითარი მომავალი არა აქვს, როგორც არა ჰქონდათ „ბაყბაყ მდევებს", „ბაგრატ მეფეს" და ათს „ბატონიშვილებს", რომელნიც უმალვე ჩაიფერფლენ, რა წამს „ღალატი" გამობრწყინდა ეროვნულ თეატრის გვირგვინად.

მსახიობთ საყვედურით ვერ მიჰმართავს ადამიანი. ყველანი რიგზე თამაშობდნენ. ცოტა დადგმის მხრივ ახალი არა შეუტანიათ-რა. ასე გგონიათ, იგივე რეჟისორი, იგივე მსახიობნი იმავე როლებში გამოსულან და იმავე დიქციით და ჟესტით თამაშობენ. როგორც ამ რამდენიმე წლის წინად. ამ მხრივ შესამჩნევი ცვლილება შეიტანა მხოლოდ ქ-ნმა დავითაშვილმა. ამ ღამეს თეატრალი ფუყე ეფექტებს მოერიდა, ყოველგან ზომა დაიკავა. განსაკუთრებით მოგვეწონა სცენა ნიკოს თავდავიწყება ქ-ნ კატოსთან. სულიერი კატასტროფა ვულკანიური სახით არ მომხდარა. ნელი-ნელ, პსიხოლოგიური შეწონვით ჩუმი მღელვარება ჩუმს ქვითინზე გადავიდა, რის გამოც დამსწრე საზოგადოებამ ქვითინი მორთო.

კატო ვნებიანი სიმი გახლავთ, რომელსაც ნიკოს იდილიურ ცხოვრების აკორდში გულის მომკვლელი დისონანსი შეაქვს. ასეთ სიმად თორთოდა ქ-ნი ქიქოძის ასული. მან არისტოკრატ ქალის ლაღი ტემპერამენტი გამოიჩინა. ყოველ მხრით სჩანს, ასეთი ტიპების შექმნა საბოლოო მიზნად უნდა დაისახოს ქ-ნმა ქიქოძის ასულმა. ეს მისი ზედ შეწონილი ამპლუაა.

ბუნებრივი და სრულიად ძალდაუტანებელი ტიპი კნ. თამარისა შექმნა ქ-ნმა ჯავახიშვილმა.

სუსტობდა იმედაშვილი თ-დ ნიკოს როლში.

ასევე სუსტი გამოდგა ბ-ნ გ. იმხნელის გოლა.

საუცხოო და ყოვლად უნაკლულო ტიპები დაგვიხატეს ბ-ნმა გამყრელიძემ—გიგლა, ბ-ნმა გუნიამ—მეეზოვე, ქ-ნმა ტასო აბაშიძემ—სოფლელი ბიჭი და ბ-ნმა ვ. აბაშიძემ—გუბერნატორი.

საზოგადოდ პიესამ მწყობრად ჩაიარა და დამსწრენიც მხურვალ ტაშის ცემით მიეგებნენ.

დიოგენი.

რუსეთი

სულთა აღწერა პეტროგრადში. პეტროგრადში სულთ-აღწერა გრძელდება. ჯერ რამდენიმე უბანი მოათავეს. საგულისხმოა, რომ სულთ-აღწერას მეტი დაბრკოლება არისტოკრატთა უბნებში დახვდა. ზოგიერთი დაწესებულებანი, საკონსულოები, საელჩოები, სრულებით არავითარ ცნობებს არ იძლევიან თურმე. სულთა აღწერა 15 გიორგობისთვემდე მოთავდება.

—

8 გიორგობისთვიდან, მოსკოვის ქალაქის უფროსის განკარგულებით, კერძო პირებს აეკრძალათ წერილების წამღებ-წამომღებ მტრედების ყოლა.

პროფესორი ი. ტ. ტარასოვი. მოსკოვში ქუჩაში მიმავალ პროფესორ ი. ტ. ტარასოვს ტრამვაის ვაგონი დასჯახებია. იგი ძალიან დაშავებულია. იტკივებს თავს და გვერდებს.

დორპატის უნივერსიტეტის გადატანა. პერმის საპატიო მოქალაქემ, ურალში კარგად ცნობილმა მრეწველმა და სოვდაგარმა პერმის ქალაქის გამგეობას შეუთვალა: იურევის უნივერსიტეტის გადატანა თუ საჭირო გახდა და უნივერსიტეტს პერმში გადმოიტანენ, 500 ათას მანათსა ვწირავო. ამ თანხას იგი 10 წელიწადში შეიტანს, ყოველ წლივ 50 მანათს.

თუ დორპატის დაცლა აუცილებელი გახდა, უნივერსიტეტს პერმში გადაიტანენ.

ჩხრეკა პეტროგრადში. 9 გიორგობისთვეს პეტროგრადის თითქმის ყველა საპოლიციო უბნებში ერთ დროს მოხდა ჩხრეკა. საქმე ისაა, რომ ამას წინად აღმოაჩინეს სამხედრო საკრებულოში ყალბი ქაღალდები და ბოროტმოქმედებანი. ჩხრეკის დროს არავინ დაუტუსაღებიათ, მხოლოდ საბუთის ქაღალდები მიჰქონდათ.

მაქსიმ გორკი. მაქსიმ გორკი ამჟამად მოსკოვში იმყოფება. გაზეთებმა მისი ავადმყოფობის ამბავი მოგვიტანეს.

სასწავლებლებში

მოსკოვში გადატანილ ვარშავის პოლიტეხნიკუმში I—IV სემესტრზე სწავლა დაიწყო 10 გიორგობისთვეს, ხოლო V—VIII სემესტრზე დაიწყება 20 გიორგობისთვეს. ინსტიტუტი მოთავსებულია შანიევსკის უნივერსიტეტსა და სხვა სასწავლებელთა ბინაზე.

უცხოეთი

Echo de Bulg"—ბულგარეთის მთავრობის გაზეთი სწერს: „რაღაც თვითშთაგონების ძალით, რუსეთის დიპლომატიამ ერთგვარი ფანტასტიური აზრი შეადგინა ბულგარეთის გონიერებაზე. პეტროგრადის ზოგიერთი წრე ჰფიქრობდა, რომ ბულგარეთი რუსეთის წინაშე მადლობის მოსახდელად, ხელს აიღებდა დამოუკიდებლობაზე და ნეტარებად ჩასთვლიდა გარეშეთაგან ბრძანების მიღებას. იქ ეგონათ, ვითომც სლავიანობის აჩრდილმა მოხიბლა, მოაჯადოვა ჩვენი გონების თვალი და გადამწყვეტ წუთს ჩვენ, ვითომც მზად ვიყავით ხელი აგვეღო ჩვენს ეროვნულ მისწრაფებაზე მაკედონიაში; ხელი აგვეღო იმ მაკედონიაზე, რომელიც დამონებული და ფეხქვეშ გავლილი იყო, სლავიანობის მსოფლიო ფალავანის მიერ. რუსეთის დიპლომატიამ ალღო ვერ აართვა ბულგარეთს და მაინც კი დარწმუნებული იყო, ვითომც შეგნებული აქვს მისი ინტერესები, და მუდამ ცხარობდა, როდესაც კი მას სინამდვილეს გაახსენებდნენ.

გერმანეთ-საფრანგეთის დაახლოვება. „Humanite"-ს რედაქციის გამგემ დოდე-ბონსელმა ციურიხის გაზეთ „Revue Internaiionale"-ში წერილი მოათავსა, სადაც ფრანგ სოციალისტების აზრია გამოთქმული, საერთაშორისო დამოკიდებულების განახლება შესაძლებელიაო. ედუარდ ბერშტეინმა რამდენიმე წერილი უძღვნა ამავე საგანს და სურვილი გამოსთქვა, ომის დასრულებამდეც ფრანგ-გერმანელ სოციალისტების აზრთა გაცვლა-გამოცვლის საჭიროებისა, ინტერნაციონალის აღსადგენად. ბერშტეინი ამასთანავე აღნიშნავს, თუ რა ძნელია ეს დღევანდელს მდგომარეობაში. „დოდე-ბანსელი ამბობსო—სწერს ბერნშტეინი,—რომ ფრანგი სოციალისტები, დღეს უაღრესი მამულიშვილები, კვლავ მხარს მისცემენ ინტერნაციონალის აღდგენას, რაწამს გერმანეთის მიჯნას გადასცდება გერმანელთა უკანასკნელი ჯარისკაცი".

ბერნშტეინის აზრით, მხოლოდ წასვლა გერმანელთა ჯარისა [illegible] სწმენდს გზას ინტერნაციონალის აღსადგენად. [illegible] დაბრკოლება იმ უღრმეს და ძლიერეს განცდაშია ჩამარხული, რაც ომმა მოუვლინა მთელს მიმართულებას და ინტერნაციონალის სხვა და სხვა სექციათა შორის უნდობლობა დაჰბადა. სანამ ეს უმთავრესი ღვარძლი არ აღმოიფხვრება, გარეგანი, ზერელე მანიფესტაციები საქმეს ვერ გამოაბრუნებს.

ამ დაავადებულ ორგანიზაციის ერთად-ერთ უებარ წამლად შეიძლება გამოდგეს მხოლოდ ყოველ[illegible] ფალი და გულახდილი აზრთა [illegible]რება, რომლის მიზანიც იქნება, ნიადაგი შემზადდეს ურთ-ერთის გასაგებად.

ბერნშტეინის აზრით, დოდე-ბანსელის წერილი ამ მხრივ პირველი ნაბიჯის გადადგმაა.

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers
აქ დააწერეთ ლაგერის
ადრესი.
Liebesgaben für die
russischen Kriegsgefangenen.
აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:
Suisse, Bern Ensingnenstrasse,
№ 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:
Banque populaire Suisse, Fond
Russe pour les prisonnier de
guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la
Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Genéve.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3	ბაქოდან.	12 ს. 54 წ. დღ.
№ 4	ბათომიდან.	5 ს. 55 წ. საღ.
№ 5	ბაქოდან(სწრ.)	7 ს. 41 წ. საღ.
№ 10	ბათომიდან.	9 ს. 51 წ. დილ
	ჯულფიდან	6 ს. 53 წ. დილ
	ბორჯომიდან	7 ს. 25 წ. დილ.
	„ საგ.	10 ს. 28 წ. საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3	ბათომისკენ	1 ს. 45 წ. დღ.
№ 4	ბაქოსკენ	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6	ბაქოს(სწრ.)	12 ს. 8 წ. დღ.
№ 9	ბათომისკენ.	8 ს. 53 წ. საღ.
	ჯულფისკენ	10 ს. 23 წ. საღ.
	ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ. დღ

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს

თბილისიდან გადის:

თელავისა ❀ წნორისკენ დილ.	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მიდის ნაშუადღ.	3 ს. 53 წ.
გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის	4 ს. 53 წ.
თელავში მიდის ნაშუადღევ.	5 ს. 35 წ.
გურჯაანიდან წნორზე მიდის	4 ს. 18 წ.
წნორზე მიდის	5 ს. 15 წ.

თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:

დილის	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მოდის . . .	10 ს. 26 წ.
წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის.	10 ს. 16 წ.
გურჯაანში მიდის . . .	10 ს. 16 წ.
გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის	10 ს. 46 წ.

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა
„განათლება"
ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო", „თანამედროვე აზრი", „ეშ. მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „კავკაზსკოე სლოვო", „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა" [illegible] იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია"** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი"** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები"**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები"**—ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში"**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.
აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.
კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეგველიძეები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„**მეშოჩნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან
სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.